2025

საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიში

POG.GOV.GE

საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიში
2025

საქართველოს პროკურატურა

2025

საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიში

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

მისასალმებელი სიტყვა

საქართველოს პროკურატურა დამოუკიდებელი კონსტიტუციური ორგანოა, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ექსკლუზიურ უფლებამოსილებასთან ერთად, კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქმიანობის წარმართვა მაღალპროფესიული სტანდარტების შესაბამისად და საზოგადოების საჭიროებაზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება.

2025 წელს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მიღწეული შედეგების მიუხედავად, ჩვენ ვაგრძელებთ მკაცრ და თანმიმდევრულ სისხლის სამართლის პოლიტიკას და მისი ხელშემწყობი პრევენციული ნაბიჯების გადადგმას. ვიქნებით შეურიგებელი ამ დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ, როგორც გამოძიების, ისე სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისას, რადგან კორუფცია ასუსტებს სახელმწიფოს და აზიანებს კანონიერებისა და სამართლიანობის განცდას საზოგადოებაში.

ჩვენს პრიორიტეტად რჩება ისეთი დანაშაულების წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკის გატარება, როგორიცაა: უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, ნარკოტიკული დანაშაული, ტრეფიკინგი, არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაული, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ცალკეული ეკონომიკური დანაშაულები.

მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში, ჩვენთვის მთავარ პრიორიტეტად რჩება დაზარალებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ასევე, საზოგადოების ნდობის ხარისხის ამაღლება.

სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება სამართლიანი სასამართლოს უფლების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. შესაბამისად, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით, გადავდგამთ ქმედით ნაბიჯებს საპროცესო შეთანხმებისა და დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების მაღალი მაჩვენებლის შესანარჩუნებლად.

პროკურატურა გააგრძელებს ინსტიტუციურ გაძლიერებას, რომელიც ორიენტირებული იქნება ტექნოლოგიურ განვითარებაზე, პროფესიონალიზმის ზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

არსებული გამოწვევების მიუხედავად, მჯერა, სწორი და თანმიმდევრული სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებით, კოორდინირებული თანამშრომლობითა და პროკურატურის თითოეული თანამშრომლის ჩართულობით, შევძლებთ დაკისრებული ამოცანების სათანადოდ შესრულებას.

საქართველოს გენერალური პროკურორი
გიორგი გვარაკიძე

სარჩევი

01

1. სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპები 7

02

2. 2025 წელი ციფრებში 11

03

3. სტრუქტურული ცვლილებები პროკურატურის სისტემაში 17

04

4. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები 21
4.1. სისხლისსამართლებრივი დევნა.....23
4.2. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა 32
4.3. აღკვეთის ღონისძიება.....36
4.4. სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა 42
4.5. სრულწლოვანთა განრიდება 49

05

5. დაზარალებულზე ორიენტირებული მართლმსაჯულება 53

06

6. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება 63

07

6. საერთაშორისო თანამშრომლობა 79

08

8. გამოძიება პროკურატურის სისტემაში 89

09

9. ცალკეული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა 101
9.1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ...103
9.2. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.....108
9.3. კიბერდანაშაული.....115
9.4. სამეწარმეო და საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაულები 117
9.5. თაღლითობა 121
9.6. „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლა 123
9.7. ნარკოტიკული დანაშაულები.....125
9.8. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი).....128
9.9. ტერორიზმი და რადიოაქტიული ნივთიერებები.....130
9.10. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევა და უკანონო მიგრაცია.....133
9.11. არასათანადო მოპყრობა.....135

9.12. პირადი ცხოვრების ხელყოფის დანაშაულები 138
9.13.ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახური დანაშაული 140
9.14. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები 143
9.15. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა.....151
9.16 შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები 153
9.17.დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების წინააღმდეგ 157
9.18. განზრახ მკვლელობა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.....159

10

10. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ანალიტიკური საქმიანობა 163

11

11. ადამიანური რესურსების მართვა და დისციპლინური პასუხისმგებლობა 167

12

12. პროფესიული განვითარება 175

13

13. კოლეგიური ორგანოები 181

14

14. საჯაროობა და ანგარიშვალდებულება 185
14.1.ანგარიშვალდებულება და საზოგადოებასთან კომუნიკაცია 187
14.2.საზოგადოებრივი პროკურატურა 190
14.3.საჯარო ინფორმაციის გაცემა 193

15

15. პროკურატურის ბიუჯეტი, ინფრასტრუქტურული განვითარება და ლოჯისტიკა 195

16

16. ციფრული ტრანსფორმაცია 203

17

16. 2026 წლის პრიორიტეტები 209

1

სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპები

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

1. სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპები

მნიშვნელოვანია, არსებობდეს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროკურატურის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს საქმიანობის პრიორიტეტებსა და პრინციპებს და ხელს შეუწყობს სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკის აღსრულებას. ამ მიზნით, 2025 წლის 3 დეკემბრის №057 ბრძანებით, დამტკიცდა სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები.[1]



დოკუმენტში ხაზგასმულია ისეთი პრიორიტეტული მიზნები, როგორიცაა: სწრაფი მართლმსაჯულება, პროკურატურისადმი ნდობის განმტკიცება, უსაფრთხოების განცდისა და კანონის უზენაესობის რწმენის გაძლიერება, დანაშაულის პრევენცია, დანაშაულთან დაკავშირებული სოციალურ-

[1] https://matsne.gov.ge/document/view/6688638?publication=0

ეკონომიკური დანაკარგებისა და ხარჯების შემცირება. მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ის გარემოებები, რომელთა გათვალისწინებით პროკურორმა უნდა გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება (მაგალითად, დანაშაულის სიმძიმე, ხასიათი, ჩადენის გარემოებები და შედეგი, დამნაშავის პიროვნება, მოსალოდნელი სასჯელი, მსხვერპლის პოზიცია).

დოკუმენტში დეკლარირებულია ცალკეულ დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმებისა და დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების პრაქტიკის წახალისების და ზრდის პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს სწრაფ მართლმსაჯულებას, დაზარალებულის უფლებების დროულ აღდგენასა და ზოგავს როგორც ადამიანურ, ასევე, მატერიალურ რესურსს. სასჯელთან დაკავშირებული საპროცესო შეღავათის შეთავაზების შესაძლებლობა კი, თავის მხრივ, ახალისებს გამოძიებასთან თანამშრომლობასაც.

დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისი ლიბერალური პოლიტიკა უნდა შენარჩუნდეს დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა მიმართ, ისევე როგორც გაუფრთხილებელი და ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულების, არაძალადობრივი ქმედებების, ცალკეული ეკონომიკური დანაშაულებისა და ზოგადად იმ დანაშაულთა მიმართ, რომლებსაც არ მოჰყოლია მძიმე, გამოუსწორებელი შედეგი. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ მხედველობაშია მისაღები სუბიექტური ფაქტორები, რომელიც დაკავშირებულია ბრალდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობასთან, გასათვალისწინებელია, რა ნეგატიური გავლენა შეიძლება მოჰყვეს სასჯელის სრული სიმკაცრით გამოყენებას ბრალდებულის კმაყოფაზე მყოფი და მასზე დამოკიდებული პირების მდგომარეობაზე.

დოკუმენტში ხაზგასმულია მოწყვლადი პირებისა და სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების, კორუფციის, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ორგანიზებული დანაშაულების ჩამდენი პირების მიმართ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის შენარჩუნების აუცილებლობაზე.

დოკუმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს პროკურატურის მკაცრ პოლიტიკას ისეთი კატეგორიის დანაშაულებზე, როგორიცაა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, დისკრიმინაციული ნიშნითა და სიძულვილის მოტივით ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულები, წამება, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, ორგანიზებული ჯგუფისა და რეკეტული დაჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულები, ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებული და ნარკოტიკული დანაშაულები, სადაც სუბიექტი ნარკოტიკული დანაშაულის ხელშემწყობი ან გამსაღებელია.

პროკურატურის პრიორიტეტად არის დადგენილი, რომ პროკურორმა უპირატესობა მიანიჭოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებას, ხოლო, ამგვარი გადაწყვეტილების მიღების მიზანშეუწონლობისას, უპირატესად და სწრაფად განიხილოს არსებითი განხილვის გარეშე საქმის დასრულების შესაძლებლობა.

2

2025

წელი ციფრებში

2025 წელი ციფრებში

სისხლისსამართლებრივი დევნა

25 086

პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო, აქედან 588 არასრულწლოვანია

აღკვეთის ღონისძიება

23 582

პირის მიმართ პროკურორმა მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, საიდანაც 35,1% საპატიმროა და 64,9% არასაპატიმრო

დევნა ყველაზე გავრცელებულ დანაშაულებზე

655
თაღლითობა

3733
ქურდობა

6122
ნარკოტიკული დანაშაული

4585
ოჯახური დანაშაული

2477
მუქარა

განრიდება

3 404

პირი განრიდდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. მათ შორის, 581 არასრულწლოვანი

განაჩენი

20 922

პირის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, საიდანაც საპროცესო შეთანხმება გაფორმდა 86,5%-თან

დაზარალებული

17 209

პირს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი

დაზარალებულთა მხარდაჭერა

4 952

პირს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მიერ გაეწია მხარდაჭერა

საპროცესო შეთანხმება

18 089

პირს გაუფორმდა
საპროცესო შეთანხმება

ზიანის ანაზღაურება

138 მილიონ ლარზე

მეტის ოდენობის
ზიანი აუნაზღაურდა
დაზარალებულებს

ჩამორთმეული ქონება

91 მილიონ ლარზე

მეტის ღირებულების ქონება
ჩამორთმეულია
სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე

პროკურატურა, როგორც გამოძიების მწარმოებელი ორგანო

537

საქმეზე დაიწყო გამოძიება

328

პირის მიმართ დაიწყო
სისხლისსამართლებრივი
დევნა

საერთაშორისო სამართლებრივი დახმარება

1829

შუამდგომლობა მიიღო უცხო ქვეყნებიდან სამართლებრივი დახმარების თხოვნით

კორესპოდენციის მართვა

128282

დოკუმენტი დარეგისტრირდა საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში

18346

წერილი გაიგზავნა მატერიალურად

POG.GOV.GE

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

3

სტრუქტურული ცვლილებები პროკურატურის სისტემაში

3. სტრუქტურული ცვლილებები პროკურატურის სისტემაში

მართვის უკეთესი სისტემის შესაქმნელად და შრომითი კოეფიციენტის გასაზრდელად აუცილებელია გამოწვევებთან ადაპტირებული სტრუქტურული ცვლილებები.

ბოლო წლების სამართლებრივმა და ინსტიტუციურმა რეფორმებმა უდავოდ დადებითი გავლენა იქონია სისხლის სამართლის უკეთესი პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებაზე, თუმცა გამოწვევები ჯერ კიდევ არსებობს და დროული სტრუქტურული რეფორმა გამოწვევებთან გამკლავების ერთ-ერთი გზაა.

2025 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის სისტემაში შეიქმნა დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული – იურიდიული დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია პროკურატურის საქმიანობის სამართლებრივ უზრუნველყოფაზე, კომპეტენციის ფარგლებში კანონშემოქმედებითი პროცესის ხელშეწყობაზე, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებში უწყების წარმომადგენლობასა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე.

კორუფციულ დანაშაულზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გასაზრდელად, 2025 წელს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტი. დეპარტამენტი დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური კადრებით და სრულად აღიჭურვა საქმიანობისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ასევე, გაიზარდა კორუფციულ დანაშაულზე მუშაობის გამოცდილების მქონე პროკურორთა და გამომძიებელთა რაოდენობა.

2025 წელს თაღლითობის რაოდენობისა და ტერიტორიული განფენილობის გათვალისწინებით, თბილისის პროკურატურის სისტემაში შეიქმნა თაღლითობის სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველო. რაიონული პროკურატურების რგოლიდან შეირჩა ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე ზედამხედველობის გამოცდილების მქონე პროკურორები. სამმართველო საპროცესო ხელმძღვანელობას გაუწევს მხოლოდ ამ დანაშაულს, რაც ხელს შეუწყობს საპროცესო ხელმძღვანელობის ხარისხის ამაღლებას და დააჩქარებს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას. დანაყოფის საქმიანობაზე მიმდინარეობს მონიტორინგი და შეფასდება სამომავლოდ საოლქო პროკურატურების დონეზე ანალოგიური რეფორმის ჩატარების მიზანშეწონილობა.

2025 წელი გამორჩეული იყო საგამოძიებო მიმართულებით დანერგილი სიახლეებითაც. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილების პროკურატურისთვის გადმოცემის გამო,

გამომძიებლები დაემატა გენერალური პროკურატურის საგამოძიებო უფლებამოსილების მქონე დეპარტამენტებს და ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო სამმართველოებს. უკეთესი მართვის უზრუნველსაყოფად, საგამოძიებო სამმართველოებს დაემატა 8 მენეჯერული პოზიცია.

საკომუნიკაციო არხების განვითარებამ გაზარდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მოწყვლადობაც, რაც გამოწვევად იქცა სამართალდამცავი სისტემისთვის. 2025 წელს პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის უკანონო გავრცელების ფაქტებზე გამოძიების წარმოების პასუხისმგებლობაც პროკურატურის ქვემდებარე გახდა. ამ დანაშაულის მზარდი ხასიათისა და დაზარალებულისთვის მიყენებული მორალური ზიანის სიმძიმიდან გამომდინარე თბილისის პროკურატურის სისტემაში შეიქმნა პირადი ცხოვრების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო, რომელიც დაკომპლექტდა ამ კატეგორიის საქმეებზე მუშაობის გამოცდილების მქონე გამომძიებლებით.

არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გასაზრდელად, 2025 წელს თბილისის პროკურატურაში შეიქმნა არასრულწლოვნების საქმეთა სამმართველო. სტრუქტურული ერთეული დაკომპლექტდა სპეციალიზებული პროკურორებით, რომლებიც საპროცესო ხელმძღვანელობასა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას ახორციელებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე.

POG.GOV.GE

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

4

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

4.1 სისხლისსამართლებრივი დევნა

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება პროკურატურის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა, რომლის უზრუნველსაყოფად პროკურორი საპროცესო ხელმძღვანელობას უწევს გამოძიებას. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და გაგრძელება პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება.

2025 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 25086 პირის მიმართ.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგნაირია:



სტატისტიკური მონაცემების დინამიკაში ანალიზი ცხადყოფს, რომ 2025 წელს, ბოლო 5 წელთან შედარებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

მუხლობრივი მონაცემებით, 2025 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა ყველაზე ხშირად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში- სსკ) 260-ე (ნარკოტიკული დანაშაული), 177-ე (ქურდობა) და 151-ე (მუქარა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე.

2025 წელს დევნადაწყებული პირების რაოდენობა რეგიონულ ჭრილში



რაც შეეხება წინა წლების ანალოგიურ მონაცემებს, ხაზგასასმელია სტატისტიკური მაჩვენებლების სტაბილურობა დანაშაულის ცალკეული სახეების მიხედვით. 2023 და 2024 წლებში დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სსკ-ის 177-ე (ქურდობა), 260-ე (ნარკოტიკული დანაშაული) და 151-ე (მუქარა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე. 2022 წელს პირველ ადგილზე იყო სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, მეორე და მესამე ადგილზე კი სსკ-ის 151-ე (მუქარა) და 126[1] (ოჯახში ძალადობა) მუხლები. მსგავსი ტენდენცია ფიქსირდებოდა 2020-2021 წლებშიც, სადაც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლების მიხედვით პირველ და მეორე ადგილებზე იყო სსკ-ის 177-ე და 126[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, ხოლო მესამე ადგილს იკავებდა სსკ-ის 151-ე მუხლი.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს, 2024 წელთან შედარებით, სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე დევნის დაწყების მაჩვენებელი ორჯერ გაიზარდა, რის გამოც ამ დანაშაულზე დაწყებულმა დევნის მონაცემებმა საერთო რეიტინგში პირველი ადგილი დაიკავა.

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ ყველაზე გავრცელებულ დანაშაულად სტაბილურად რჩება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ნარკოტიკული დანაშაული და ოჯახში ძალადობა.

2020-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლით პირველ ხუთეულში შემავალი დანაშაულები

(პირთა რაოდენობა)



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი
მუხლობრივ ჭრილში
2025 წელი



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი
მუხლობრივ ჭრილში
2024 წელი



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი
მუხლობრივ ჭრილში
2023 წელი



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი
მუხლობრივ ჭრილში
2022 წელი



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი
მუხლობრივ ჭრილში
2021 წელი



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი
მუხლობრივ ჭრილში
2020 წელი



4.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა დევნის დაწყებასთან ერთად პროკურატურის ექსკ-ლუზიური ფუნქციაა.

2020-2022 წლებში დევნაშეწყვეტილი პირების რაოდენობა ზრდის, ხოლო 2023-2025 წლებში კლების ტენდენცია შეინიშნება:

2020-2025 წლებში დევნაშეწყვეტილი პირების რაოდენობა



2020-2025 წლებში დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით ასეთია:[1]

[1] დევნაშეწყვეტილი პირების რაოდენობა არ ემთხვევა სსკ-ის მუხლების მიხედვით დაფიქსირებულ მონაცემებს მიზეზი დანაშაულთა ერთობლიობაა, რადგან თუ დევნა წყდება სსკ-ის ორი და მეტი მუხლით, დევნაშეწყვეტილ პირზე ინფორმაცია ფიქსირდება თითოეულ დანაშაულთან მიმართებით.

2025 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით



2024 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით



2023 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით



2022 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით



2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით



2020 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით



4.3 აღკვეთის ღონისძიება

2025 წელს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით სასამართლოში შესული შუამდგომლობებიდან პროკურორების მიერ პატიმრობა მოთხოვნილია ბრალდებულთა 35,1%-ის მიმართ, ხოლო არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება- 64,9%-ის მიმართ[1].

აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობათა საერთო რაოდენობიდან საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:

საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობათა საერთო რაოდენობიდან



საერთო მონაცემების გაანალიზების გარდა, ასევე საინტერესოა, დადგინდეს, როგორია საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების თანაფარდობა როგორც სასამართლოს მიერ

[1] საქართველოს პროკურატურის მიერ ბრალდებულთა მიმართ საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა მოთხოვნის შესახებ სტატისტიკური მონაცემები მუშავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემებზე დაყრდნობით.

განხილული, აგრეთვე, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო განუხილველად დატოვებული შუამდგომლობებიდან.

სასამართლოს მიერ განხილული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობებიდან მოთხოვნილი საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა თანაფარდობა შემდეგია:

სასამართლოს მიერ განხილული შუამდგომლობებიდან საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნა



საპროცესო შეთანხმების გაფორმების გამო სასამართლოს მიერ განუხილველად დატოვებული შუამდგომლობებიდან საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების რაოდენობრივი და პროცენტული თანაფარდობა შემდეგია:

საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებები საპროცესო შეთანხმების გაფორმების გამო განუხილველად დატოვებული შუამდგომლობებიდან



განრიდების შესახებ სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ბოლო წლებში გაზრდილია დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დევნის დაწყებაზე უარის თქმის შემთხვევები. აღნიშნული გადაწყვეტილებები ძირითადად მიიღება ნაკლებად მძიმე კატეგორიისა და არაძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. პროკურორთა მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილებების ადრეულ ეტაპზე მიღებისას აღარ ხდება პირის მიმართ დევნის დაწყება და აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვა. აღნიშნულ პირთა მიმართ დევნის დაწყების შემთხვევაში, სათანადო საფუძვლების არსებობისას, როგორც წესი, პროკურორი ითხოვდა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას. შესაბამისად, პროკურატურის მიერ საპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა მოთხოვნის თაობაზე სრულყოფილი სურათის დანახვის მიზნით, განრიდების მაჩვენებლებთან უნდა შევაჯამოთ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის მაჩვენებლები და მოხდეს ამ მონაცემის და მოთხოვნილი პატიმრობების წილობრივი გაანგარიშება.

მოთხოვნილი საპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა შეფარდება არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებისა და განრიდების ჯამურ რაოდენობასთან



პროკურატურის მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის სრულყოფილი ანალიზის შესაძლებლობას იძლევა საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებლების თანაფარდობა ოჯახურ და სხვა დანაშაულებში. აღნიშნული მონაცემები დამუშავდა როგორც სასამართლოს მიერ განხილული, ასევე, საპროცესო შეთანხმების გაფორმების გამო განუხილველად დატოვებული შუამდგომლობებიდან. მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა:

მოთხოვნილი საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა პროცენტული მაჩვენებელი ოჯახურ და სხვა დანაშაულებზე



ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე ასახულია ოჯახურ და არაოჯახურ დანაშაულებზე საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის თანაფარდობა დინამიკაში.

ოჯახურ დანაშაულზე მოთხოვნილი პატიმრობის პროცენტული მაჩვენებელი დინამიკაში



ამ მონაცემთა ანალიზის შედეგად დგინდება, რომ 2024 წელთან შედარებით 2025 წელს 1%-ით შემცირდა ოჯახურ დანაშაულებზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი.



რაც შეეხება სხვა დანაშაულებს, 2020-2023 წლებში პატიმრობის მოთხოვნის კლება ფიქსირდება. 2023 წელთან შედარებით 2024 წელს პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი გაზრდილი იყო 3%-ით, ხოლო 2024 წელთან შედარებით 2025 წელს პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი გაზრდილია 2%-ით.

პროკურორების მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შუამდგომლობათა დაკმაყოფილების მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:



მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2020-2024 წლის მონაცემებთან შედარებით, 2025 წელს გაზრდილია შუამდგომლობების სრულად დაკმაყოფილების მაჩვენებელი. მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2025 წელს ბოლო ხუთ წელთან შედარებით შუამდგომლობების დაკმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც უმეტესად განპირობებულია საპროკურორო

საქმიანობის ხელმძღვანელობის ხარისხის ზრდით, მათ შორის, სამართლებრივი დოკუმენტების უკეთ დასაბუთების კომპონენტში.

რაც შეეხება მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებლებს, 2020 წლიდან დღემდე მონაცემები შემდეგია:



წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 2020-2024 წლებთან შედარებით, 2025 წელს ასევე გაზრდილია აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილი პატიმრობის სრულად დაკმაყოფილების მაჩვენებელი და 82,9%-ს შეადგენს.

POG.GOV.GE

4.4 სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა

2025 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენი გამოტანილი იქნა 20922 პირის მიმართ, რაც 2020-2024 წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია:[1]



2025 წელს 20922 პირის მიმართ გამოტანილი განაჩენიდან 86.5% დასრულდა საპროცესო შეთანხმებით. მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ 2025 წელსაც შენარჩუნდა საპროცესო შეთანხმების გამოყენების მზარდი დინამიკა და წინა 5 წელთან შედარებით ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია.

არსებითი განხილვითა და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დასრულებულ საქმეთა პროპორციული თანაფარდობა წლების მიხედვით ასეთია:

[1] წინამდებარე ანგარიშში განაჩენთან დაკავშირებული მონაცემების სხვა უწყებების მიერ გამოქვეყნებულ ანალოგიურ მონაცემებთან შედარებისას შესაძლებელია გამოვლინდეს განსხვავება მონაცემთა აღრიცხვის, დამუშავებისა და განახლების თავისებურებების გამო.



წინა წლების მსგავსად, 2025 წელსაც შენარჩუნდა გამოძიების ადრეულ ეტაპზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაღალი მაჩვენებელი. კერძოდ, წარმოდგენილი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2025 წელს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე გაფორმდა საანგარიშო პერიოდში სულ გაფორმებული საპროცესო შეთანხმებების 65,8%.

აღსანიშნავია, რომ საპროცესო შეთანხმების სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე (ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე) გაფორმება ხელს უწყობს სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებასა და ამავდროულად, ზოგავს როგორც პროკურატურის, ისე სასამართლოს ადამიანურ და ფინანსურ რესურსს. რესურსების მსგავსი ოპტიმიზაცია საშუალებას აძლევს პროკურორებს, მოახდინონ კონცენტრირება რთულ და კომპლექსურ საქმეებზე, რაც პირდაპირ აისახება სამართალწარმოების ხარისხის გაუმჯობესებასა და მართლმსაჯულების აღსრულების ეფექტიანობაზე.



2025 წელს არსებითი განხილვის საფუძველზე გამოტანილი განაჩენებიდან 17%-ის[2] შემთხვევაში სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 7,4%-ის შემთხვევაში- ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი.

გამამართლებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:

[2] აღნიშნულ მაჩვენებელში ოჯახურ დანაშაულებზე დამდგარი გამამართლებელი განაჩენების წილი 11,4%-ია.

არსებითი განხილვით გამოტანილი გამამართლებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენების სტატისტიკა



რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების სტატისტიკას, 2025 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 58,7% შეადგინა.

საპროცესო შეთანხმების დადებისას ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი



2025 წელს საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმის ოდენობამ 57 456 580 ლარი შეადგინა. ეროვნულ ვალუტაში გამოსახული მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმის ოდენობა (ლარი)



რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებას, 2025 წელს სასჯელის ამ სახის გამოყენების მაჩვენებელმა 13,5% შეადგინა.

საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:

საპროცესო შეთანხმების დადებისას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელი



2025 წელს საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა (სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით) გამოყენებულ იქნა ბრალდებულთა 22,6%-ის მიმართ. ეს მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:

საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი



2025 წელს საქმის არსებითი განხილვით დასრულებული საქმეებიდან თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ იქნა ბრალდებულთა 44,3%-ის მიმართ. ეს მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:

არსებითი განხილვით დასრულებულ საქმეებში პირის მიმართ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი



პროკურატურა აგრძელებს მკაცრ და თანმიმდევრულ სისხლის სამართლის პოლიტიკას, განსაკუთრებით ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ.

თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი



სახელმწიფოს მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა განსაკუთრებით თვალსაჩინოა დიაგრამაზე მოცემული მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის ცალკეულ დანაშაულებზე თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაღალი მაჩვენებლით. კერძოდ: სსკ-ის 108-ე და 109-ე მუხლებზე (განზრახ მკვლელობა და განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი კვლავ 100%-ს შეადგენს. 2025 წელს, წინა წელთან შედარებით მცირე (3%-იანი) კლებაა სსკ-ის 137-ე მუხლზე (1 პირის მიმართ გამოყენებული არასაპატიმრო სასჯელის ხარჯზე). მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ფიქსირდება სსკ-ის 117-ე მუხლზე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), სადაც 2025 წელს თავისუფლების აღკვეთის წილმა, წინა წელთან შედარებით, 4%-ით მოიმატა და 78% შეადგინა. წინა წლის იდენტური, 95%-იანი მაჩვენებელია შენარჩუნებული სსკ-ის 179-ე მუხლზე (ყაჩაღობა).

POG.GOV.GE

4.5 სრულწლოვანთა განრიდება

როგორც უკვე აღინიშნა, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, არდაწყება ან შეწყვეტა ერთ-ერთი საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა, რა დროსაც მნიშვნელოვანია დაცული იყოს ბალანსი დაზარალებულის კანონიერი ინტერესების დაცვას, ბრალდებულის უფლებების დაცვასა და დანაშაულის პრევენციის ინტერესს შორის. გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკა და მის საფუძველზე პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბრალდებულზე და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეებზე, არამედ საზოგადოებაზე. შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა, კანონით დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას, ხელმძღვანელობს როგორც სახელმწიფოს, ასევე, საზოგადოების ინტერესებით.

პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურატურა აანალიზებს, არის თუ არა საჯარო ინტერესში დევნის დაწყება და ცალკეული დანაშაულების ჩამდენი პირების მიმართ პრიორიტეტულად იყენებს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმს - განრიდებას.

როგორც წესი, განრიდება არ გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის შედეგად დადგა მძიმე ან/და გამოუსწორებელი ზიანი. უმეტესად, განრიდება გამოიყენება ნაკლებად მძიმე კატეგორიის, გაუფრთხილებელი, არაძალადობრივი დანაშაულების ჩამდენი სრულწლოვანი პირების (21 წლის ზევით ასაკის) მიმართ. გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება დანაშაულის ხასიათი, მისი განმაპირობებელი ფაქტორები, დამდგარი შედეგი, დამნაშავის პიროვნული მახასიათებლები, დაზარალებულის პოზიცია და სხვა.

2022 წელს პროკურატურის თანამშრომლებისთვის მომზადდა სახელმძღვანელო მითითებები „სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლისა და დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების თაობაზე“ და „სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის პირველ ნაწილზე და 273[1] მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე განრიდების გამოყენების თაობაზე“. სახელმძღვანელო მითითებებმა ხელი შეუწყო შემაჯამებელი გადაწყვეტილებების დროულად მიღებას, ადამიანური და ფინანსური რესურსის ოპტიმალურად გამოყენებას. სახელმძღვანელო მითითებების პრაქტიკაში იმპლემენტაციის შემდგომ, 2022-2024 წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა 21 წელს გადაცილებულ პირთა მიმართ განრიდების გამოყენების მაჩვენებელი და 2015-2021 წლების საშუალო წლიურ მაჩვენებლებთან მიმართებით თითქმის გაორმაგდა.

2025 წელს გაანალიზდა განრიდების გამოყენების არსებული პრაქტიკა, რომლის შედეგებისა და საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, გადამუშავდა სახელმძღვანელო მითითება „სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლისა და დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების თაობაზე“ და დაემატა შემთხვევები, რა დროსაც შესაძლებელია განრიდების გადაწყვეტილების მიღება. დოკუმენტის განახლებამ ხელი შეუწყო პროკურორთა მიერ დროული გადაწყვეტილებების მიღებას და უზრუნველყო მათი პროცესუალური დამოუკიდებლობის ფარგლების გაფართოება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2025 წელს, განრიდება გამოყენებულ იქნა 2499 სრულწლოვანი (21 წელს ზევით) პირის მიმართ, რომელთაგან 2271 პირი განრიდდა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, ხოლო 228 პირი – მძიმე კატეგორიის დანაშაულზე. აღსანიშნავია, რომ სრულწლოვან პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი ძირითადად გამოიყენება არაძალადობრივი (ქურდობა) და გაუფრთხილებელი დანაშაულების (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა) ჩადენის შემთხვევაში. აღნიშნული პრაქტიკა სრულად შეესაბამება სისხლის სამართლის პოლიტიკას, რაც მიზნად ისახავს დაბალი საზოგადოებრივი საშიშროების მქონე ქმედებებზე ჰუმანური მიდგომების გამოყენებას.

სრულწლოვან (21 წლის ზევით) განრიდებულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი წლების მიხედვით



ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები, რომლებზეც 2025 წელს ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა განრიდების მექანიზმი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:[1]

[1] განრიდებულ პირთა რაოდენობა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით დათვლილია შემდეგი პრინციპით: თუ საქმეში ფიგურირებს ორი და მეტი დანაშაული და განსარიდებელი პირი ერთია, თითოეულ მუხლზე პირთა რაოდენობა ფიქსირდება ცალ-ცალკე.

**ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები,
რომლებზეც ყველაზე ხშირად იქნა გამოყენებული განრიდება
(2025 წელი)**



მძიმე კატეგორიის დანაშაულებიდან განრიდება ყველაზე ხშირად არაძალადობრივ ეკონომიკურ დანაშაულებზე გამოიყენება. ასევე, არცთუ იშვიათად (48 შემთხვევაში), განრიდება გამოყენებული იყო სსკ-ის 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე განრიდების გამოყენების მუხლობრივი მონაცემები შემდეგია:

**მძიმე კატეგორიის დანაშაულები,
რომლებზეც ყველაზე ხშირად იქნა გამოყენებული განრიდება
(2025 წელი)**



საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

5

დაზარალებულზე ორიენტირებული მართლმსაჯულება

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

5. დაზარალებულზე ორიენტირებული მართლმსაჯულება

დაზარალებულზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოება, მათი უფლებების დაცვა და გაძლიერება საქართველოს პროკურატურის სტრატეგიით გათვალისწინებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

პირის დაზარალებულად ცნობა პროკურორის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა. 2025 წელს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 17 209 პირს. 2021-2024 წლებში იკვეთებოდა დაზარალებული პირების რაოდენობის კლების ტენდენცია, ხოლო 2025 წელს, 2024 წელთან შედარებით დაზარალებული პირების რაოდენობა გაიზარდა 2,3%-ით:[1]

2020-2025 წლებში დაზარალებული პირების რაოდენობა



დაზარალებული ქალების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა 2024 წელს (50,7%), ხოლო დაზარალებული მამაკაცების – 2021 წელს (52%).

1 სულ დაზარალებული პირების რაოდენობა არ ემთხვევა სსკ-ის მუხლების მიხედვით დაფიქსირებულ მონაცემებს. მიზეზი დანაშაულთა ერთობლიობაა. ვინაიდან, თუ პირი დაზარალებულად არის ცნობილი სსკ-ის ორი და მეტი მუხლით ჩადენილი დანაშაულის გამო, აღნიშნულ პირზე ინფორმაცია ფიქსირდება თითოეულ დანაშაულთან მიმართებით.

2020-2025 წლებში დაზარალებული მამაკაცების პროცენტული მაჩვენებელი დაახლოებით 49%-დან 52%-მდე მერყეობს, ხოლო ქალების პროცენტული მაჩვენებელი - 47%-დან 51%-მდე:



დაზარალებული პირების 92% სრულწლოვნებზე მოდის:



2020-2025 წლებში დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

2025 წელს დაზარალებული პირები სსკ-ის მუხლების მიხედვით



2025 წელს დაზარალებული პირების რაოდენობა რეგიონულ ჭრილში



2024 წელს დაზარალებული პირები სსკ-ის მუხლების მიხედვით



2023 წელს დაზარალებული პირები სსკ-ის მუხლების მიხედვით



2022 წელს დაზარალებული პირები სსკ-ის მუხლების მიხედვით



2021 წელს დაზარალებული პირები სსკ-ის მუხლების მიხედვით



2020 წელს დაზარალებული პირები სსკ-ის მუხლების მიხედვით



უწყების პრიორიტეტული მიზანია დაზარალებულის კანონიერი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება, მასთან კომუნიკაცია და საპროცესო უფლებების ეფექტიანი რეალიზების ხელშეწყობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამართალწარმოების პროცესში დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას და იმ შესაძლო ნეგატიური ზეგავლენის მინიმუმამდე შემცირებას, რომელიც შეიძლება ახლდეს სამართალწარმოების პროცესში დაზარალებულის მონაწილეობას.

2025 წელს მომზადდა დაზარალებულის გზამკვლევი, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია, რა უფლებებით შეუძლია ისარგებლოს დანაშაულის მსხვერპლმა სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე, ვისთან მოუწევს კომუნიკაცია პროცესის მიმდინარეობისას, როგორია პროცესის მონაწილეთა, მათ შორის, პროკურორის როლი და რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს სამართალწარმოების დასრულებისას. გზამკვლევი ასევე მოიცავს ინფორმაციას არასრულწლოვანი დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

ასევე, მომზადდა გზამკვლევები მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის უფლებებზე, ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახურ დანაშაულებზე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე (16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი, არასრულწლოვნის ქორწინების იძულება და არასრულწლოვანთან ქორწინების მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთა).

გზამკვლევებში წარმოდგენილია ინფორმაცია დანაშაულების დეფინიციებისა და სასჯელების, ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი პროცედურების, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის, მხარდაჭერისა და დაცვის მექანიზმების შესახებ. გაგრძელდება მუშაობა თემატურ გზამკვლევებზე, რაც დაზარალებულთათვის ხელმისაწვდომს გახდის ინფორმაციას დანაშაულის არსისა და კანონით გათვალისწინებული ზომების, არსებული რეაგირების მექანიზმების, დაზარალებულის მხარდამჭერი სერვისების, სამართალწარმოების პროცედურების და მართლმსაჯულების პროცესის მონაწილეთა, მათ შორის, პროკურატურის როლის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ პროკურატურაში ფუნქციონირებს 24-საათიანი ცხელი ხაზი, სადაც დაზარალებულებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე, დააფიქსირონ პოზიცია მათი განცხადების საფუძველზე დაწყებული გამოძიების მიმდინარეობაზე და მოითხოვონ უკუკავშირი. დაზარალებულებს 24 საათის განმავლობაში შეუძლიათ საქართველოს პროკურატურის Facebook გვერდის მეშვეობით მოითხოვონ და მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე. პლატფორმას აქტიურად იყენებენ უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეები, რომელთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია არაერთხელ გამხდარა გამოძიების დაწყების საფუძველი. 2025 წელს, პლატფორმების გამოყენებით, 500-ზე მეტმა დაზარალებულმა მიიღო უკუკავშირი მათთვის საინტერესო საკითხზე.

დაზარალებულზე მორგებული მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით უწყება აქტიურად განაგრძობს მუშაობას. დაიგეგმა დაზარალებულთა კმაყოფილების კვლევა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, დაიდენტიფიცირდეს დაზარალებულის თვალით დანახული გამოწვევები და დაიგეგმოს მათი გადაჭრის ოპტიმალური გზები.

დაზარალებულის უფლებების ეფექტიანი დაცვისა და მათი ემოციური მხარდაჭერის მიზნით, უწყება აუმჯობესებს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა საქმიანობის ხარისხს. მათ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს დაზარალებულისათვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის მინიმუმამდე შემცირება, ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე დაზარალებულის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

„მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის შესახებ“ საქართველოს გენერალურის პროკურორის 2024 წლის 16 სექტემბრის №217გ ბრძანებით განისაზღვრა იმ დანაშაულთა წრე და მოწყვლად პირთა კატეგორია, რომელთა მიმართ პროკურორის მიერ სავალდებულო წესით ან პრიორიტეტულად ხდება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა.

ბოლო წლებში 5000-ს აღწევს იმ პირთა რაოდენობა, ვინც ისარგებლა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით. კერძოდ:

პირთა რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით



პირის სტატუსი



აღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ კოორდინატორთა სამსახური უზრუნველყოფს კომპლექსურ მხარდაჭერას არა მხოლოდ უშუალოდ დაზარალებულისთვის, არამედ სამართალწარმოების პროცესში ჩართული ყველა იმ პირისთვის, რომელიც საჭიროებს ფსიქო-ემოციურ თანადგომასა და ინფორმირებას.

2025 წელს კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად დახმარება გაუწიეს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მოწმეებსა და დაზარალებულებს:[2]

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულები



2 მონაცემები წარმოდგენილია დანაშაულების მიხედვით და რაოდენობა შესაძლოა არ ემთხვეოდეს სისხლის სამართლის საქმეთა და პირთა რაოდენობას.

6

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

6. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოს პროკურატურის სტრატეგიით გათვალისწინებული ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მნიშვნელოვანია, სამართალწარმოების განხორციელების პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა, მეორეული ვიქტიმიზაციის რისკების მინიმუმამდე დაყვანა, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილებების მიღებისას ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გასაზრდელად 2025 წელს თბილისის პროკურატურაში შეიქმნა არასრულწლოვნების საქმეთა სამმართველო. სტრუქტურული ერთეული დაკომპლექტდა სპეციალიზებული პროკურორებით, რომლებიც საპროცესო ხელმძღვანელობასა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას ახორციელებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ პრიორიტეტულია დაბალანსებული, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება. საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, სპეციალიზებული პროკურორები იმ არასრულწლოვნების მიმართ, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს, უპირატესობას სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმებს ანიჭებენ. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტი, რომელიც აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს ეფუძნება, მორგებულია არასრულწლოვნის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რაც ხელს უწყობს დანაშაულის გაცნობიერებას, მართლშეგნების ამაღლებასა და ამავდროულად, მაქსიმალურად ითვალისწინებს დაზარალებულის ინტერესებს. შესაბამისად, საჯარო ინტერესის პარალელურად, პროკურატურის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ბავშვის მხარდაჭერა რთული ქცევის დაძლევაში, რათა მას მიეცეს შესაძლებლობა ცხოვრება ნასამართლობის გარეშე განაგრძოს.

2025 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი გამოყენებულია 905 პირის მიმართ, საიდანაც 581 (64%) იყო არასრულწლოვანი, ხოლო 324 (36%) - 18-დან 21 წლამდე პირი. 2010-2025 წლებში 14-დან 21 წლამდე 9756 პირი განრიდდა, საიდანაც 5954 (61%) იყო არასრულწლოვანი, ხოლო 3802 (39%) – 18-დან 21 წლამდე პირი.



2025 წლის მონაცემებით, განრიდებულ და ბრალდებულ[1] არასრულწლოვანთა რაოდენობა 1169 პირს შეადგენს, საიდანაც განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩაერთო 581 არასრულწლოვანი (49,7%).



1 ბრალდებულთა რაოდენობა მოიცავს იმ პირებსაც, რომელთა მიმართ დევნის დაწყების შემდეგ იქნა გამოყენებული განრიდება.



სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ 2025 წელს დევნასთან მიმართებით არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი შემცირებულია. მონაცემების ანალიზით დგინდება, რომ ბრალდებულ არასრულწლოვანთა გარკვეული რაოდენობა არ აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ კრიტერიუმებს, რის გამოც პროკურორს ობიექტურად არ ჰქონდა განრიდების გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. შესაბამისად, 2025 წელს, წინა წლების მსგავსად, პროკურორების მიერ იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება კვლავ პრიორიტეტულად ხდებოდა.

588 პირიდან, რომელთა მიმართ 2025 წელს მიღებულია დევნის დაწყების გადაწყვეტილება, განრიდების კანონით დადგენილ კრიტერიუმს მხოლოდ 136 არასრულწლოვანი აკმაყოფილებდა. ამდენად, განრიდებულ და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ 717 პირს შეადგენს, საიდანაც პროკურორმა განრიდების გადაწყვეტილება არასრულწლოვანთა 81%-ის (581 პირი) მიმართ მიიღო.

2025 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი იმ პირთა საერთო რაოდენობიდან (717), რომლებიც აკმაყოფილებდნენ განრიდების კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ კრიტერიუმებს



განრიდების პრიორიტეტულად გამოყენებას ადასტურებს პროკურორთა მიერ განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დაბალი მაჩვენებელი. 2025 წლის მონაცემებით, განრიდებული 581 არასრულწლოვნიდან, განრიდებამდე დევნა დაიწყო მხოლოდ 11 (2%) არასრულწლოვნის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ განრიდება აქტიურად გამოიყენება მძიმე კატეგორიის არაძალადობრივ დანაშაულებზეც, თუ პროკურორი ბავშვის ინდივიდუალური შეფასებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განრიდების ღონისძიებების გამოყენება უკეთ უზრუნველყოფს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასა და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას. 2025 წლის მონაცემებით, განრიდებული 581 არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 343 არასრულწლოვანს, ანუ, განრიდებულ არასრულწლოვანთა 59%-ს.

2020-2025 წლებში განრიდების ხვედრითი წილი იმ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით, რომლებიც კანონით დადგენილ განრიდების კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ



2025 წელს, გასული წლების მსგავსად, განრიდება ძირითადად გამოყენებულია სსკ-ის 177-ე მუხლით (ქურდობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა მიმართ. 581 განრიდებული არასრულწლოვნიდან ქურდობა ჩაიდინა 377 პირმა (65%).

სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგები ადასტურებს, რომ გასული წლების მსგავსად, პროკურორები არასრულწლოვნის მიმართ დროულად იღებენ განრიდების გადაწ-ყვეტილებას. ასევე, დაბალია სასამართლო განხილვის ეტაპიდან განრიდების მიზნით საქმეების დაბრუნების მაჩვენებელი. 2025 წელს განრიდებული 581 არასრულწლოვნიდან სასამართლოს მიერ საქმე განრიდების მიზნით მხოლოდ 8 (1,4%) პირის მიმართ დაბრუნდა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ეფექტიანობის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი განრიდების ხელშეკრულების პირობების დარღვევისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის დაბალი მაჩვენებელია. 2025 წლის მონაცემებით, განრიდებული 581 არასრულწლოვნიდან, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა მხოლოდ 28 პირმა (4,8%).

რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებისა და სასჯელის გამოყენებას, მონაცემები შემდეგ ტენდენციას აჩვენებს: 2025 წელს არასრულწლოვანთა მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებების საერთო რაოდენობიდან პატიმრობის პროცენტულმა მაჩვენებელმა 31,8% შეადგინა:

მოთხოვნილი პატიმრობის მაჩვენებელი არასრულწლოვნებში



2025 წელს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან (განრიდებული პირების და იმ ბრალდებულთა ჯამი, რომელთა მიმართ პროკურორის მიერ მოთხოვნილი იყო აღკვეთის ღონისძიება) კი პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი მხოლოდ 12,4%-ს შეადგენს.

მოთხოვნილი პატიმრობის მაჩვენებელი არასრულწლოვნებში
(სულ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მაჩვენებელი მოიცავს ჯამურ ინფორმაციას განრიდებულ პირებსა და პროკურორის მიერ მოთხოვნილ აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ)



რაც შეეხება უშუალოდ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების პრაქტიკას, 2025 წელს სასამართლოს მიერ განხილული შუამდგომლობების საერთო რაოდენობიდან პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელმა 25,1% შეადგინა:

პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი არასრულწლოვნებში



განრიდებული არასრულწლოვნებისა და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა ჯამური მონაცემებიდან, რომელთა მიმართაც გამოყენებულია აღკვეთის ღონისძიება, 2025 წელს პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელმა 9,8% შეადგინა.

პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი არასრულწლოვნებში
(შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების მაჩვენებელი მოიცავს ჯამურ ინფორმაციას განრიდებულ პირებსა და გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ)



რაც შეეხება არასრულწლოვნების მიმართ გამოტანილი განაჩენების რაოდენობას, 2020-2024 წლებთან შედარებით, 2025 წელს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა:

არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც გამოტანილი იქნა განაჩენი



არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი განაჩენებიდან 2025 წელს საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეების პროცენტული მაჩვენებელი მკვეთრად აღემატება 2020-2024 წლების მონაცემებს:



2025 წელს მზარდი იყო გამამართლებელი განაჩენებიც. 2020 წელს არასრულწლოვნის მიმართ გამამართლებელი განაჩენი არ დაფიქსირებულა, 2021 წელს გამამართლებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 3 არასრულწლოვნის, 2022 წელს – 5, 2023 წელს – 2, 2024 წელს – 3, ხოლო 2025 წელს — 7 არასრულწლოვნის მიმართ.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის (სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით) გამოყენების მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:



არასრულწლოვანთა მიმართ, არსებითად განხილულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენებიდან, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, 2025 წელს 10%-ით გაიზარდა და 48.5% შეადგინა:

არასრულწლოვანთა მიმართ არსებითის განხილვის შედეგად გამოტანილი განაჩენებიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი



არასრულწლოვანთა მიმართ არსებითად განხილული და საპროცესო შეთანხმებით დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების საერთო რაოდენობიდან, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი გასულ წელთან შედარებით 1,7%-ით არის შემცირებული:

არასრულწლოვანთა მიმართ საპროცესო შეთანხმებით და არსებითად დასრულებულ საქმეთა საერთო რაოდენობიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი

რაც შეეხება არსებითად განხილულ, საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ჯამურ მაჩვენებელს, აღნიშნული მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების საერთო რაოდენობიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი



ბავშვზე მორგებული და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველსაყოფად, საქართველოს პროკურატურა არაერთი მიმართულებით ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. ყოველწლიურად იგეგმება და ხორციელდება აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვანთა მიმართ მტკიცებულებებზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელებას, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების ეფექტიან გამოყენებას, უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესებას, მულტიდისციპლინური მიდგომების გაძლიერებას და ბავშვზე მორგებული გარემოს გაუმჯობესებას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ხარისხის გასაუმჯობესებლად საქართველოს პროკურატურის მიერ 2025 წელს სხვადასხვა მიმართულებით ჩატარდა ცალკეული ღონისძიებები: მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგი; დამუშავდა სტატისტიკური ინფორმაცია და განხორციელდა კვლევითი საქმიანობა; განახლდა სახელმძღვანელო მითითებები; მომზადდა საინფორმაციო ბროშურები; საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართა არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოს შეხვედრები; მოეწყო ბავშვზე მორგებული სივრცე.

საქართველოს პროკურატურაში მრავალი წელია დანერგილია ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის მექანიზმი. მონიტორინგის ფარგლებში ყოველწლიურად ხდება სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლა. შედეგები იძლევა შესაძლებლობას დინამიკაში გაანალიზდეს ძირითადი სტატისტიკური ინფორმაცია დანაშაულის სახის, კატეგორიის, პროკურატურის სტრუქტურული ერთეულის მიხედვით და გენდერულ ჭრილში. ასევე, დამუშავდეს ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილების დროულობის, განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სასამართლოდან განრიდების მიზნით დაბრუნებული საქმეების, არასრულწლოვანთა მიერ განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში ჩადენილი განმეორებითი დანაშაულის, ხელშეკრულების ვადებისა და პირობების, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგების შესახებ. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მუშავდება ყოველწლიური სტატისტიკური ინფორმაცია და მზადდება შესაბამისი ანგარიშები.

2025 წელს მომზადდა მასშტაბური ყოველწლიური კვლევები: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების ანგარიში“ და „განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა“, რაც გამოქვეყნდა პროკურატურის ვებგვერდზე[2].

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების ანგარიში“ მოიცავს ყველა ძირითად სტატისტიკურ ინფორმაციას არასრულწლოვანთა განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ, ხოლო „განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევაში“ გაანალიზებულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მახასიათებლები. კვლევაში ასახული მონაცემები, გვაწვდის კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც დანაშაულის გამომწვევი შესაძლო მიზეზების იდენტიფიცირების და არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

2025 წელს გაანალიზდა 2019, 2020 და 2021 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელი და მომზადდა ანგარიში დანაშაული სახის, კატეგორიის, ჩადენის დროის, ჩამდენ პირთა ასაკის, ხელშეკრულების ვადის, პირობების, მედიაციით და მედიაციის გარეშე განრიდების მაჩვენებლებისა და სხვა პარამეტრების მიხედვით. ზემოაღნიშნული ინდიკატორებით დამუშავებული განმეორებითი დანაშაულის მონაცემები შედარდა 2019, 2020 და 2021 წლებში იმ განრიდებულთა მონაცემებს, რომლებსაც განმეორებითი დანაშაული არ ჩაუდენიათ. კვლევის შედეგები გაზიარებული იქნა დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსთან.

არასრულწლოვანთა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის სრულყოფილი ანალიზის მიზნით, 2025 წელს შემუშავდა მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი განმეორებითი დანაშაულის კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც შესაბამისი კვლევა 2026 წელს ჩატარდება.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა შესახებ სრულყოფილი მონაცემების დამუშავების მიზნით, 2025 წელს შესწავლილია ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც გამოძიება შეწყდა სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწევლობა) საფუძველზე. კვლევა მოიცავდა 2024 წელსა და 2025 წლის

2 https://pog.gov.ge/n2024

პირველ ნახევარში მიღებულ გადაწყვეტილებებს. ყურადღება დაეთმო 14 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების წარმოებისა და შემაჯამებელი გადაწყვეტილებების მიღების დროულობას. შეფასდა არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში გადამისამართების ეფექტიანობა და ამ მექანიზმის გამოყენების დინამიკა. გამოკვეთილი ტენდენციების გათვალისწინებით პროკურატურის სტრუქტურულ ერთეულებს დაეგზავნათ შესაბამისი რეკომენდაცია.

მართლმსაჯულების პროცესში დაზარალებულ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით დაინერგა დაზარალებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის მექანიზმი, რათა შეფასდეს დაზარალებულად ცნობის გადაწყვეტილების მიღების დროულობა, იდენტიფიცირდეს გამოძიებისა თუ საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების პროცესში არსებული სამართლებრივი და პრაქტიკული გამოწვევები. ზედამხედველობის ამგვარი პრაქტიკა უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა ინტერესების მაქსიმალურ დაცვასა და სამართალწარმოების პროცესის ხარისხის ამაღლებას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის სწორი იმპლემენტაციის, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების დანერგვისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების პროცესის უზრუნველსაყოფად პროკურატურა, სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზებისა და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების შესაბამისად, პროაქტიულად უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ცალკეულ საკითხებზე სახელმძღვანელო მითითებების მომზადებასა და პროკურორებისთვის გაცნობას.

2025 წელს განახლდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელო მითითებების კრებული შემდეგ საკითხებზე: სპეციალიზაცია, კანონის მოქმედების სფერო, ინდივიდუალური შეფასების მომზადების წესი, განრიდება/განრიდება და მედიაცია, დისკრეციული უფლებამოსილება, არასრულწლოვანთა მიმართ ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თავისებურებები, კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის ჩართვა, ბავშვზე მორგებული სივრცის გამოყენების წესი და ა.შ. კრებულს განახლებული სახით დაემატა გენერალური პროკურატურის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების განხორციელების სტანდარტულ ოპერაციული პროცედურების შესახებ“.

მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაც მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანს მისი უფლებები, ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, მასზე მორგებული ენით განემარტება.

ამ სტანდარტის იმპლემენტაციის მიზნით მომზადდა და პროკურატურის ვებგვერდზე განთავსდა სპეციალიზებული საინფორმაციო ბროშურა, რომელშიც ბავშვზე მორგებული ენით გადმოცემულია მოწმე, დაზარალებული და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის უფლებები სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე[3].

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების შესახებ მხარეებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ხელს უწყობს არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდებისა

3 https://pog.gov.ge/uploads/pdf/bavshvis-uflebebis-martmsajulebis-gzamkvlevi.pdf

და მედიაციის პროგრამის არსის შესახებ სწორი მოლოდინების გაჩენას, რაც, თავის მხრივ, პროგრამის მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამ მიზნით, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, მისი წარმომადგენლისა და დაზარალებულისთვის განრიდების არსის, მიზნებისა და მათი უფლებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მისაწოდებლად მომზადდა ბროშურები.

მნიშვნელოვანია ბავშვზე მორგებული სივრცეების არსებობაც, რომლის მიზანია მართლმსაჯულების პროცესი აღსრულდეს არასრულწლოვნის საჭიროებების გათვალისწინებით, რაც უადვილებს მას პროცესში მონაწილეობას, უკეთ იცავს კონფიდენციალურობას და ამცირებს მეორეული ვიქტიმიზაციის რისკებს.

საქართველოს პროკურატურამ, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების კონცეფციაზე მუშაობა 2017 წლიდან დაიწყო, მისი იმპლემენტაციის პროცესი ეტაპობრივად განხორციელდა. 2025 წელს ბავშვზე მორგებული სივრცე კიდევ ერთ სტრუქტურულ ერთეულში – ბოლნისის რაიონულ პროკურატურაში შეიქმნა. დღეის მდგომარეობით, მსგავსი სივრცეები ასევე ფუნქციონირებს რუსთავის, ხელვაჩაურის, სენაკის, ფოთის, საჩხერის, ქუთაისის, ხაშურისა და მარნეულის რაიონულ პროკურატურებში.



ბავშვზე მორგებული სივრცეები შეესაბამება არასრულწლოვნის ფიზიკური და გონებრივი განვითარების თავისებურებებს და ძირითადად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ცალკეული ნორმების ერთგვაროვანი განმარტების და პრაქტიკაში სწორი იმპლემენტაციის, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისა და რეგიონებში მულტიდისციპლინური მექანიზმების გაძლიერების მიზნით, საქართველოს პროკურატურის ინიციატივით, 2016 წლიდან ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმი — არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოები. საბჭო აერთიანებს ადგილობრივ დონეზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პროკურორებს, გამომძიებლებს, მოსამართლეებს, ადვოკატებს, სოციალურ მუშაკებს, მედიატორებს, მუნიციპალიტეტების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების წარმომადგენლებს.

არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოები ფუნქციონირებს თბილისსა და საქართველოს რეგიონებში — აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი.

2025 წლის ბოლოს, პროკურატურის ინიციატივით, გაიმართა არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოს შეხვედრები, რა დროსაც განხილულ იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტუალური საკითხები, დააიდენტიფიცირა გამოწვევები და გაიმართა მსჯელობა მათი გადაჭრის გზებზე. შეხვედრებზე განხილულ საკითხებზე მზადდება ანგარიში, რომლის გაზიარება ხდება უწყებებისთვის რელევანტური ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.



7

საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

7. საერთაშორისო თანამშრომლობა

პროკურატურის უფლებამოსილებას განეკუთვნება სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითადი საკითხები: ექსტრადიცია, სამართლებრივი ურთიერთდახმარება, ონლაინ მომსახურების მომწოდებლებთან სამართალდაცვითი თანამშრომლობა, შემდგომი სამართალწარმოების მიზნით სისხლის სამართლის საქმეების გადაგზავნა და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა.

გლობალიზაციისა და სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების პირობებში ორგანიზებული დანაშაული სულ უფრო მეტად იძენს ტრანსნაციონალურ, კომპლექსურ და ადაპტირებად ხასიათს. დანაშაულებრივი ქსელები აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს, საზღვრებს მიღმა გადაადგილების ფართო შესაძლებლობებსა და გლობალურ ფინანსურ სისტემებს, რაც სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიან საერთაშორისო თანამშრომლობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს. ამ პირობებში, სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ოპერატიულ, ისე სტრატეგიულ დონეზე გამოცდილების, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და ახალ საფრთხეებზე კოორდინირებული რეაგირების გზით.

სამართლებრივი ურთიერთდახმარება

2025 წელს საქართველოს პროკურატურამ საერთაშორისო სამართლებრივი დახმარებისთვის უცხო სახელმწიფოს 288 საქმეზე მიმართა და მიიღო 1829 შუამდგომლობა, რაც რეკორდულია და დაახლოებით 37%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.





ექსტრადიცია

2025 წელს საქართველოს სასამართლოების მიერ დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოდან უცხო სახელმწიფოში 209 პირის ექსტრადიცია, რაც 99%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს, რაც მოტივაციის მექანიზმების დანერგვისა და პროცესების ოპტიმიზაციის გზით გახდა შესაძლებელი. ამავე პერიოდში უცხო სახელმწიფოებში გაიგზავნა ექსტრადიციის 20 შუამდგომლობა.



მულტინაციონალურ ონლაინ მომსახურების მომწოდებლებთან თანამშრომლობა

საქართველოს პროკურატურა 2025 წელსაც აქტიურად თანამშრომლობდა მულტინაციონალურ ონლაინსერვისის პროვაიდერებთან და საერთაშორისო კრიპტო ბირჟებთან. უცხოური ონლაინ მომსახურების მომწოდებლებისგან ელექტრონული მტკიცებულებების მოსაპოვებლად გაიგზავნა 209 მოთხოვნა, რაც დაახლოებით 21%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. მოთხოვნის დაკმაყოფილება კი 87% -იანი შედეგით განისაზღვრა.



დანაშაულებრივი ქონების მოძიებისა და დაბრუნების საკითხებზე თანამშრომლობა

2025 წელს გაგრძელდა წარმატებული თანამშრომლობა ევროკავშირის პროკურატურასთან (EPPO), ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისთან (OLAF) და ევროკავშირის ქონების დაბრუნების ოფისებთან (AROs). თანამშრომლობის ფარგლებში, შესრულდა ევროკავშირის ქონების დაბრუნების ოფისებების 11 და OLAF-ის ერთი შუამდგომლობა, ხოლო ევროკავშირის ქონების დაბრუნების ოფისებმა შეასრულეს საქართველოს პროკურატურის 20 შუამდგომლობა.

2025 წელს საქართველოს პროკურატურა აქტიურად იყო ჩართული ინტერპოლის ვერცხლისფერი ცირკულარის საპილოტე პროექტში, რომელიც ახალი ინსტრუმენტია დანაშაულებრივი ქონების მოძიებასთან დაკავშირებული საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში. პროექტის ფარგლებში პროკურატურის მხრიდან ხორციელდებოდა როგორც სხვა მონაწილე სახელმწიფოების ინიციატივით გამოცემულ ვერცხლისფერ ცირკულარებზე რეაგირება, ისე შესაბამისი ცირკულარების გამოცემის ინიცირება.

ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობები

2025 წელს საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან 23 სამუშაო შეხვედრა გაიმართა, მათ შორის, კანადის (კანადის სასაზღვრო მომსახურების სააგენტო (CBSA)) და ამერიკის შეერთებული შტატების (FBI-ის წარმომადგენლები) საელჩოების წარმომადგენლებთან, საუდის არაბეთის სამეფოს, კატარის სახელმწიფოს, თურქეთის რესპუბლიკის, აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის ელჩებთან და ევროკავშირის ქვეყნების ატაშეებთან. მნიშვნელოვანი იყო შეხვედრები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და ეუთოს წარმომადგენლებთან.

დღეის მდგომარეობით, სამართლებრივი დახმარებისა და ექსტრადიციის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებები საქართველოს ძირითადად ევროპულ ქვეყნებთან აქვს. 2025 წელს გაგრძელდა კონსულტაციები და მოლაპარაკებები პარტნიორ სახელმწიფოთა რიცხვის ზრდაზე. ახალი ხელშეკრულებების გაფორმება იძლევა შესაძლებლობას გაძლიერდეს სახელმწიფოთაშორისი დახმარების მექანიზმი. წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები კატარის სახელმწიფოსთან სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ორმხრივ ხელშეკრულებაზე.

საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის გაფართოების მიზნით, 2025 წელს მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები გაიმართა. საუდის არაბეთის სამეფოში ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია თანამშრომლობა პრედიკატი დანაშაულის, ტერორიზმის, მისი დაფინანსების და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში. შეხვედრები

გაიმართა ექსტრემისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ცენტრის (ETIDAL) გენერალურ მდივანთან და ეროვნული უსაფრთხოების ოპერაციების ცენტრის მეთაურთან.

2025 წელს პროკურატურის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო სინგაპურის რესპუბლიკაში პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის (IAP) 30-ე წლიურ კონფერენციაში, თემაზე „პროკურორის როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებაში, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება და აქტივების მოძიების მექანიზმები.“ ვიზიტის ფარგლებში გაიმართა 9 შეხვედრა კანადის, სინგაპურის, საუდის არაბეთის, ინგლისისა და უელსის, აზერბაიჯანის, ჩინეთის, სომხეთის, თურქეთის პროკურატურების უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებთან და IAP-ის მმართველი გუნდის წარმომადგენლებთან. შეხვედრები მიზნად ისახავდა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და საქართველოს პროკურატურის, როგორც სანდო პარტნიორის, სტატუსის განმტკიცებას.

ევროკავშირში ინტეგრაცია და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა

2025 წელს საქართველოს პროკურატურა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, პროგრესის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა ევროკომისიას, ევროკავშირის გაფართოების ანგარიშისთვის. აღნიშნული ინფორმაცია მოიცავდა კორუფციის, ორგანიზებული დანაშაულისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეულ შედეგებს, აგრეთვე, პროგრესს ფუნდამენტური უფლებების დაცვის მიმართულებით, მათ შორის, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, ოჯახში

ძალადობისა და ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე, წარდგენილი იყო ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, მათ შორის, სამართლებრივი დახმარების, ექსტრადიციების, ევროკავშირის ქონების დაბრუნების ოფისებთან (AROs) და ევროჯასტთან თანამშრომლობის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პროკურატურა აგრძელებდა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) ფარგლებში ფუნდამენტური უფლებების დაცვის, დისკრიმინაციის აკრძალვის, კორუფციის, ორგანიზებული დანაშაულისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას.

2025 წელს გრძელდებოდა ევროკავშირში ინტეგრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულება და ანგარიშგება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, ადამიანის უფლებების დაცვისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით.

2025 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს წარედგინა ინფორმაცია 2022-2024 წლებში კორუფციული დანაშაულის, 2021-2024 წლებში არჩევნების პერიოდში ჩადენილი დანაშაულისა და 2022-2024 წლებში ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე წარმოებული გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოტანილი განაჩენების შესახებ, აგრეთვე, დაყადაღებული და ჩამორთმეული დანაშაულებრივი ქონების თაობაზე.

2025 წელს საქართველოს პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობდა მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულ კომისიასთან (CEPEJ), ევროპელ პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოსთან (CCPE), ქონების ჩამორთმევის საკითხებზე ევროპის საბჭოს ექსპერტთა კომიტეტთან (PC-RAC), გაეროს კონტრტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელ დირექტორატთან (CTED), გაეროს დანაშაულისა და მართლმსაჯულების რეგიონთაშორის კვლევით ინსტიტუტთან (UNICRI), ევროპის საბჭოს კონტრ-ტერორისტულ კომიტეტთან (CDCT) და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (OSCE).

აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, პროკურატურა მათ, მანდატის შესაბამისად, აწვდიდა ინფორმაციას საქმიანობის, მიღწეული შედეგების და კომპეტენციაში შემავალი სხვა საკითხების თაობაზე. ამასთან, CCPE-სთან და PC-RAC-თან თანამშრომლობის ფარგლებში, პროკურატურა მონაწილეობდა საერთაშორისო ინსტრუმენტების და რეკომენდაციების შემუშავებაში საპროკურორო სტანდარტებისა და დანაშაულებრივი ქონების მოძიება-ჩამორთმევის საკითხებზე.

2025 წლის განმავლობაში საქართველოს პროკურატურა ასევე აქტიურად მონაწილეობდა გაეროსა და ევროპის საბჭოს შესაბამისი კომიტეტების (UN AHC, CDPC, PC-OC, T-CY) საქმიანობაში, მათ შორის, ჩართული იყო CDPC-ის და T-CY-ის ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფებში სისხლის სამართლის სფეროში ხელოვნური ინტელექტის როლისა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების საკითხებზე. აგრეთვე, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები უწევდნენ საექსპერტო მხარდაჭერას ცალკეული განვითარებადი ქვეყნის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესაძლებლობების გაძლიერების პროექტებს, მათ შორის, გაეროს (UNODC), ევროპის საბჭოსა (CoE) და ეუთოს (OSCE) ინიციატივების ფარგლებში.

კორუფციული დანაშაულის შესახებ შეტყობინებების მიღების, განხილვის და გამოძიების ეფექტიანობის გაუმჯობესებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, 2025 წელს შემუშავდა სახელმძღვანელო რეკომენდაცია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის

მიერ ჩადენილი კორუფციის შესახებ შეტყობინების განხილვის მექანიზმის თაობაზე. იგი შეესაბამება ევროპის საბჭოს კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მე-5 რაუნდის შეფასების დროს გაცემულ რეკომენდაციას, რომელიც შეეხება კორუფციის თაობაზე შეტყობინებების მიღების ცენტრალიზებულ მექანიზმს, საქმეთა გადაგზავნის წესებს, კოორდინაციისა და თანამშრომლობის სისტემას, განმცხადებლებისთვის უკუკავშირის უზრუნველყოფასა და მონაცემების სისტემური აღრიცხვისა და გამოქვეყნების საკითხებს. ასევე, GRECO-ს მე-5 რაუნდის შეფასების დროს გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, 2025 წელს პროკურატურამ გააუმჯობესა სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლების მიერ ჩადენილ კორუფციულ დანაშაულზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და უწყებების სტრუქტურული დანაყოფების მიხედვით დიფერენცირების სისტემა. აღნიშნულთან დაკავშირებით, განახლდა გენერალური პროკურორის ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა მონაცემთა ერთიანი და სტანდარტიზებული აღრიცხვის წესი, მათ შორის, პირის თანამდებობისა და უწყებრივი კუთვნილების სავალდებულო მითითებით.





POG.GOV.GE

8

გამოძიება პროკურატურის სისტემაში

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

8. გამოძიება პროკურატურის სისტემაში

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა უფლებამოსილია სრული მოცულობით ჩაატაროს გამოძიება მის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულებზე, რითაც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყანაში დანაშაულის ჩამდენი სპეციალური სუბიექტების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ფულის გათეთრების, სამოხელეო დანაშაულისა და კორუფციული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პროკურატურის სისტემაში საგამოძიებო უფლებამოსილება განაწილებულია საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს, კორუფციულ დანაშაულზე სისხლის-სამართლებრივი დევნის დეპარტამენტს, გენერალურ ინსპექციას, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტს, თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს, პირადი ცხოვრების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს და საოლქო პროკურატურების საგამოძიებო სამმართველოებს შორის.

2025 წელს საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფებში, 2024 წელთან შედარებით, მაღალი იყო გამოძიების დაწყების მაჩვენებელი, რომელმაც 537 სისხლის სამართლის საქმე შეადგინა.

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი 2020-2025 წლებში



2025 წელს ყველაზე ხშირად გამოძიება დაიწყო შემდეგ მუხლებზე: სსკ-ის 180-ე (თაღლითობა), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა), 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება), 332-ე მუხლი (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) და 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა).

2025 წელს გამოძიების დაწყების მუხლობრივი მაჩვენებელი



საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე 2025 წელს, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. კერძოდ, 2025 წელს დევნა დაიწყო 328 პირის მიმართ. წლების მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი შემდეგია:

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 2020-2025 წლებში



2025 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა ყველაზე ხშირად დაიწყო სსკ-ის 180-ე (თაღლითობა), 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია), 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან

ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა) და 157[1] (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა) მუხლებზე.

2025 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი მუხლობრივ ჭრილში



2025 წელს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფები აქტიურად მუშაობდნენ საჯარო დაწესებულებებში მაღალი თანამდებობის პირთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჩადენილი სამოხელეო და კორუფციული დანაშაულების გამოვლენაზე. შედეგად, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მაღალი რანგის 13 მოხელის მიმართ, მათ შორის, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსის, საქართველოს პარლამენტის 6 წევრის და სხვა მაღალი რანგის მოხელეთა მიმართ.

2025 წელს მაღალი რანგის მოხელეთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მუხლობრივი მაჩვენებელი



2025 წელს საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია 314 პირის, მათ შორის, 24 იურიდიული პირის მიმართ. გამამართლებელი განაჩენი დადგა 7 პირის მიმართ.

2020-2025 წლებში გამოტანილი განაჩენები



2025 წელს გამამტყუნებელი განაჩენი ყველაზე ხშირად გამოტანილია სსკ-ის 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია), 180-ე (თაღლითობა) და 182-ე (მითვისება/გაფლანგვა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფების საქმიანობის ზემოთ მითითებული საერთო შედეგებიდან, მნიშვნელოვანია, გამოიყოს ცალკეული მიმართულებით რეაგირების მაჩვენებლები, კერძოდ:

ფინანსური რესურსების გამჭვირვალობა და სამართლებრივი კონტროლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის სტაბილურობისა და მდგრადობის შენარჩუნებაში. საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი წარმოადგენს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის შესწავლასა და ანალიზზე, მასზე რეაგირებაზე და კოორდინაციაზე პასუხისმგებელ დანაყოფს. 2025 წელს დანაყოფმა შეისწავლა ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან მიღებული 69 ინფორმაცია, აქედან 37 რეაგირებისთვის გადაიგზავნა სხვა უწყებებში.

გასათვალისწინებელია, რომ 2025 წელს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გასაზრდელად გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა ჩაატარა სხვადასხვა სახის აქტივობა, მათ შორის, პარალელური ფინანსური გამოძიების, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიება/ჩამორთმევის, საერთაშორისო და უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესების მიმართულებით, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ფულის გათეთრების დანაშაულზე გამოძიების დაწყებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაუქმების შემდეგ, საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფების საგამოძიებო კომპეტენცია გავრცელდა სსკ-ის 154-ე (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზეც.

2025 წელს ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 11 პირის მიმართ, ხოლო დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 36 ჟურნალისტს და ოპერატორს.

სტატისტიკური ინფორმაცია სსკ-ის 154-ე მუხლზე



2025 წელს **პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის დამტკიცდა სახელმძღვანელო მითითება** „ჟურნალისტთა პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისა და ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი ძალადობის საქმეებზე ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ“. სახელმძღვანელო მითითებაში გაანალიზებულია ჟურნალისტთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, საუკეთესო პრაქტიკა, რათა ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისა და ძალადობრივი დანაშაულების გამოძიებისას, პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა ეფექტიანად წარიმართოს და პასუხობდეს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედ საერთაშორისო პრინციპებსა და სტანდარტებს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია უფლებამოსილია სრული მოცულობით აწარმოოს გამოძიება და საპროცესო ხელმძღვანელობა გაუწიოს მის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებს. 2025 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ გამოძიება დაიწყო 15 სისხლის სამართლის საქმეზე, სსკ-ის 180-ე, 276-ე, 126-ე, 151-ე და 177-ე მუხლებით, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა - 7 პირის მიმართ, სსკ-ის 180-ე, 286[1], 372-ე, 276-ე, 126-ე და 177-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის.

2025 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე 7 პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, სსკ-ის 180-ე, 286[1], 372-ე, 276-ე, 126-ე და 177-ე მუხლებით.

გენერალური ინსპექციის 2020-2025 წლების საქმიანობის შედეგები



სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი იძიებს სამართალწარმოების მიმდინარეობისას 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილ დანაშაულებს, მათ შორის, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის, ქონების იძულებით დათმობისა და სხვა სახის იძულების ფაქტებს. დეპარტამენტის პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას. აღნიშნული დოკუმენტი საფუძვლად ედება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობას.

2025 წელს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 5 საქმეზე, სსკ-ის 333-ე და 341-ე მუხლებით, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა – 8 პირის მიმართ, სსკ-ის 333-ე და 341-ე მუხლებით და იგივე კვალიფიკაციებით დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენა 25 პირის მიმართ.

2025 წელს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე 2 პირის მიმართ დადგა გამამართლებელი განაჩენი სსკ-ის 181-ე მუხლით და 1 პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი, სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის 2020-2025 წლების საქმიანობის შედეგები



სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის 2020-2025 წლების საქმიანობის შედეგები (გამამართლებელი/გამამტყუნებელი)



სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის 2020-2025 წლების საქმიანობის შედეგები
(დაზარალებული პირები)



სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის 2020-2025 წლების საქმიანობის შედეგები
(ანაზღაურებული ზიანის ოდენობა - ლარი)



2025 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო 20 სისხლის სამართლის საქმეზე, სსკ-ის 182-ე, 332-ე, 338-ე, 342-ე, 194-ე, 362-ე, 180-ე, 341-ე მუხლებით, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა – 8 პირის მიმართ, სსკ-ის 182-ე, 332-ე, 180-ე და 362-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის, ხოლო 26 პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის 2020-2025 წლების საქმიანობის შედეგები



კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის მიერ 2020-2025 წლებში დაყადაღებული ქონება
(ყადაღა - ლარი)



გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების პირობებში ორგანიზებული დანაშაული სულ უფრო ხშირად ოპერირებს ტრანსნაციონალური მასშტაბით. ტრანსნაციონალური თაღლითობის (მათ შორის, ე.წ. „თაღლითური ქოლ-ცენტრების“), კიბერდანაშაულისა და ფულის გათეთრების გამოვლენა, უკანონო აქტივების კვალზე მიდევნება, აღმოჩენა და შემდგომი კონფისკაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სხვადასხვა ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან თანაშრომლობაზე.

საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფები იყენებენ საერთაშორისო თანამშრომლობის არსებულ მექანიზმებს, მათ შორის, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის (MLA), ინტერპოლის (Interpol), კარინის (Carin), ევროპოლის (Evropol), ეგმონტის ჯგუფის (Egmont Group)

თანამშრომლობის გზებს. ამასთან, საერთაშორისო თანამშრომლობის ჩარჩო არ შემოიფარგლება მხოლოდ დადგენილი სამართლებრივი რეგულაციებით. პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება ინფორმაციის გაცვლის ოპერატიული საშუალებები, მტკიცებულებათა ხელმისაწვდომობის გამარტივებული პროცედურები და ევროჯასთის მხარდაჭერით შექმნილი ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფები.

მაგალითისთვის, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა 2025 წელს სხვადასხვა ქვეყანაში გააგზავნა 108 შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის მოთხოვნით და შეასრულა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თაობაზე უცხოეთიდან მიღებული 96 თხოვნა.

2025 წელს საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მიღებული და შესრულებული თხოვნა



2025 წელს ვირტუალური აქტივების მოძიებისას არსებული გამოწვევებისა და ტექნოლოგიური ცვლილებების გათვალისწინებით, პროკურატურამ განაახლა ვირტუალური აქტივების ამოღების სახელმძღვანელო, რომელშიც განხილულია ეროვნული და საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, რომელიც ეხმარება პროკურორებსა და გამომძიებლებს სათანადო პროცედურების დაცვით ამოიღონ მესამე პირების მფლობელობაში არსებული, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ვირტუალური აქტივები.

ტრანსნაციონალური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს პროკურატურამ 2025 წელსაც განაგრძო გამომძიებლებისა და პროკურორების კვალიფიკაციის ამაღლება. ისინი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, საზღვარგარეთ მონაწილეობდნენ არაერთ სასწავლო აქტივობაში, რომლებიც კიბერდანაშაულს, პარალელურ ფინანსურ გამოძიებას, ვირტუალურ აქტივებსა და ელექტრონული მტკიცებულებების მოძიება-ამოღების საკითხებს ეხებოდა.

9

ცალკეული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

9.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის[1] ფაქტების გამოვლენა, ეფექტიანი გამოძიება და სისხლის-სამართლებრივი დევნა საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

2025 წელს საქართველოს პროკურატურის მიერ გაანალიზდა უკანონო შემოსავლის გენერირებისა და საფინანსო სისტემაში შემდგომი ინტეგრირების მიმართულებით არსებული მდგომარეობა. დამუშავებული მონაცემები საფუძვლად დაედო ეროვნულ დონეზე და სექტორების მიხედვით ფულის გათეთრების რისკების განსაზღვრას, რამაც პროკურატურას საშუალება მისცა რესურსები და ძალისხმევა მიემართა იმ დანაშაულებისკენ, რომლებიც მაღალი რისკის მატარებელია ფულის გათეთრების მიმართულებით.

2025 წელს განახლდა „ვირტუალური აქტივების ამოღების პროცედურების შესახებ" მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რომელშიც განხილულია ეროვნული და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა, რაც დაეხმარება გამომძიებლებს სათანადო პროცედურების დაცვით, ეფექტიანად ამოიღონ მესამე პირების მფლობელობაში არსებული, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ვირტუალური აქტივები. მსგავსი დოკუმენტის არსებობა მნიშვნელოვანია კიბერსივრცეში ჩადენილი ფულის გათეთრების დანაშაულების გამოვლენისთვის.

2025 წელსაც გაგრძელდა განგრძობადი განათლების ხელშეწყობა და პარალელური ფინანსური გამოძიების, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიება/ჩამორთმევის, საერთაშორისო და უწყებათაშორისი თანამშრომლობის სფეროში თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

მნიშვნელოვანია, რომ ბოლო ორი წელია საქართველოს პროკურატურა აქტიურად იყენებს კრიპ-ტოვალუტის მიდევნებისა და ანალიზის სპეციალურ პროგრამას, რომელიც გამომძიებლებს ეხმარება ელექტრონული ფულის მიდევნებასა და აღმოჩენაში.

2025 წელს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრება) ფაქტზე (სსკ-ის 194-ე მუხლი) გამოძიება დაიწყო 73 სისხლის სამართლის საქმეზე. წლების მიხედვით გამოძიების დაწყების მაჩვენებელი შემდეგია:

[1] ქვემოთ მითითებულ ქვეთავებში გამოძიების დაწყებასთან და განაჩენებთან მიმართებაში სხვა უწყებების მიერ გამოქვეყნებულ ანალოგიურ მონაცემებთან შედარებისას განსხვავების გამოვლენის შემთხვევები შესაძლოა განპირობებული იყოს მონაცემთა აღრიცხვის, დამუშავებისა და განახლების განსხვავებული მეთოდებითა და თავისებურებებით.

2022-2025 წლებში სსკ-ის 194-ე მუხლით გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს, 2025 წელს სსკ-ის 194-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 80 პირის მიმართ, მათ შორის, 72 ფიზიკური და 8 იურიდიული პირის მიმართ. წლების მიხედვით დევნის დაწყების მაჩვენებელი შემდეგია:

სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი



2022-2025 წლებში იურიდიული პირების მიმართ 194-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



2025 წელს სსკ-ის 194-ე მუხლით გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 102 პირის, მათ შორის, 79 ფიზიკური და 23 იურიდიული პირის მიმართ.

2022-2025 წლებში გამამტყუნებელი განაჩენების მაჩვენებელი



2025 წელს სსკ-ის 194-ე მუხლით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ამოღებული/დაყადაღებული აქტივების ღირებულება აღემატება 201,5 მლნ. ლარს:



შენიშვნა: დიაგრამაზე ამოღებული/დაყადაღებული თანხის ოდენობა მოცემულია მილიონებში.

2025 წელს სსკ-ის 194-ე მუხლით მიმდინარე საქმეებზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ჩამორთმეული აქტივების ღირებულება აღემატება 75 მლნ. ლარს:



შენიშვნა: დიაგრამაზე ჩამორთმეული თანხის და კრიპტოვალუტის ექვივალენტის ოდენობა მოცემულია მილიონებში.

2025 წელს სსკ-ის 194-ე მუხლით წარმოებულ საქმეებზე 170 დაზარალებულისათვის და სახელმწიფოსთვის ანაზღაურებულიაა 49 941 240 ლარის ზიანი, მათ შორის, 170 დაზარალებულს აუნაზღაურდა ჯამში 49 125 328 ლარის, ხოლო სახელმწიფოს – 815 912 ლარის ზიანი.

საქართველოს პროკურატურა აქტიურად არის ჩართული ტრანსნაციონალური თაღლითობის, კიბერდანაშაულისა და ფულის გათეთრების, მათ შორის, ე.წ. „თაღლითური ქოლ-ცენტრების“ ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენა, უკანონო აქტივების კვალზე მიდევნება, აღმოჩენა და შემდგომი კონფისკაცია სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის უწყებებთან, საპოლიციო და საპროკურორო დანაყოფებთან ეფექტურ თანამშრომლობაზეა დამოკიდებული.

უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ,,სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სამართლებრივი რეგულაციებით. აქტიურად გამოიყენება ინფორმაციის გაცვლის ოპერატიული არხები, მტკიცებულებათა ხელმისაწვდომობის გამარტივებული პროცედურები და ევროჯასთის მხარდაჭერით შექმნილი ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფები.

POG.GOV.GE

9.2 კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კორუფციულ დანაშაულზე ეფექტიანი რეაგირება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა, ვინაიდან საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას, დემოკრატიულ ღირებულებებსა და ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტურ სტანდარტებს. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფო ინსტიტუტების რეპუტაცია და გამართული ფუნქციონირება.

კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი სპეციფიკიდან, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხიდან და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პრიორიტეტიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რის გამოც საქართველოს პროკურატურის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს.

საქართველოს პროკურატურა კოორდინაციას უწევს კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და წამყვან როლს ასრულებს სისხლის სამართლის პოლიტიკის აღსრულებაში. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, პროკურატურა თავად ახორციელებს კორუფციული დანაშაულის სრული მოცულობით გამოძიებას. პარალელურად, უზრუნველყოფს ეფექტიან საპროცესო ხელმძღვანელობას სხვა საგამოძიებო დანაყოფების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე და სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

კორუფციულ დანაშაულზე[2] გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გასაზრდელად 2025 წელს სტრუქტურული რეფორმის ფარგლებში, კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტი. დეპარტამენტი დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური კადრებით და სრულად აღიჭურვა საქმიანობისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ასევე, გაიზარდა პროკურორთა და გამომძიებელთა რაოდენობა, რაც ხელს უწყობს დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, 2025 წელს საჯარო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო 230 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო 2024 წელს 155 სისხლის სამართლის საქმეზე. უნდა აღინიშნოს, რომ წინა წელთან შედარებით, საჯარო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულებზე თითქმის გაორმაგებულია გამოძიების დაწყების მაჩვენებელი.

---

[2] კორუფციულ დანაშაულად მიიჩნევა სსკ-ის 164[1], 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტით, 203-ე, 220-ე, 221-ე, 332-ე, 333-ე (გარდა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლის მიერ ჩადენილ ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით); 337-ე, 338-ე, 339-ე, 339[1], 340-ე, 341-ე, 342-ე და 355-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

2022-2025 წლებში გამოძიების დაწყების მაჩვენებელი
(კორუფცია საჯარო სექტორში)



2022-2025 წლებში გამოძიების დაწყების მაჩვენებელი დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით
(კორუფცია საჯარო სექტორში)



გამოძიების დაწყების ძირითადი წყაროებია: მოქალაქეების განცხადება/საჩივრები, ოპერატიული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშები და საჯარო დაწესებულებების შიდა აუდიტის სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

2025 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა კორუფციულ დანაშაულებში მხილებულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. კერძოდ, საჯარო სექტორში კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე საქართველოს პროკურატურის მიერ სისხლის-სამართლებრივი დევნა დაიწყო 125 პირის მიმართ, რაც 42 პირით აღემატება წინა წლის შედეგს.

2022-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი
(კორუფცია საჯარო სექტორში)



2025 წელს ქრთამის აღების ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 18 პირის მიმართ, ხოლო ქრთამის მიცემის ფაქტზე - 6 პირის მიმართ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის კი ბრალდებულია 23 პირი.

2022-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი
დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით
(კორუფცია საჯარო სექტორში)



2025 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 82 პირის მიმართ, რომლებიც კორუფციული დანაშაულის ჩადენის მომენტში დასაქმებულნი იყვნენ საჯარო სამსახურში, მათ შორის, 13 ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას იყო მაღალი თანამდებობის პირი. კერძოდ: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის

თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი. შედარებისთვის აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საჯარო სექტორში დასაქმებული 61 პირის მიმართ, მათ შორის, 2 მაღალი თანამდებობის პირი იყო.

2025 წელს, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის მაჩვენებელიც. კერძოდ, საჯარო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულში მხილებული 84 პირის მიმართ გამოტანილია განაჩენი, ხოლო 2024 წელს - 64 პირის მიმართ. აღსანიშნავია, რომ 2025 წელს მსჯავრდებულ პირთაგან 6 მათგანი დანაშაულის ჩადენისას იყო მაღალი თანამდებობის პირი, კერძოდ: საქართველოს პრეზიდენტი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე.

2022-2025 წლებში გამოტანილი განაჩენები
(კორუფცია საჯარო სექტორში)



მნიშვნელოვანია მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებული ქონების მითვისების ან გაფლანგვის ფაქტებზე დროული რეაგირება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბრალდებული იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას. 2025 წელს, სასამართლოს მიერ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (მითვისება ან გაფლანგვა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით), დამნაშავედ იქნა ცნობილი 44 პირი, სსკ-ის 341-ე მუხლით (სამსახურებრივი სიყალბე) - 16 პირი, სსკ-ის 338-ე მუხლით (ქრთამის აღება) - 10 პირი, ხოლო სსკ-ის 339-ე მუხლით (ქრთამის მიცემა) - 6 პირი.

გამამტყუნებელი განაჩენის მაჩვენებელი 2022-2025 წლებში
(კორუფცია საჯარო სექტორში)



გაზრდილია კერძო სექტორში ჩადენილი კორუფციული დანაშაულის გამოვლენის მაჩვენებლებიც. 2025 წელს კერძო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულზე გამოძიება დაიწყო 77 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო 2024 წელს - 66 საქმეზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (მითვისება ან გაფლანგვა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) გამოძიება დაიწყო 47 საქმეზე, სსკ-ის 221-ე მუხლით (კომერციული მოსყიდვა) - 17 საქმეზე, ხოლო სსკ-ის 220-ე მუხლით - 13 საქმეზე.

2022-2025 წლებში გამოძიების დაწყების მაჩვენებელი
(კორუფცია კერძო სექტორში)



გამოძიების დაწყების მაჩვენებელი 2022-2025 წლებში
(კორუფცია კერძო სექტორში)



2025 წელს კერძო სექტორში კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე, სისხლისსამართლებ-რივი დევნა დაიწყო 115 პირის მიმართ, ხოლო 2024 წელს - 105 პირის მიმართ.

2022-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი
(კორუფცია კერძო სექტორში)



საანგარიშო პერიოდში, სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (მითვისება ან გაფლანგვა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 81 პირის მიმართ, სსკ-ის 221-ე მუხლით (კომერციული მოსყიდვა) - 22 პირის მიმართ, ხოლო სსკ-ის 220-ე მუხლით - 12 პირის მიმართ



2025 წელს სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა კერძო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულში მხილებული 82 პირის მიმართ, ხოლო 2024 წელს – 87 პირის მიმართ.



კორუფციულ დანაშაულებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მართლმსაჯულების ინტერესების უზრუნველსაყოფად, 2025 წელს ყადაღა დაედო სავარაუდოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ 294 ერთეულ უძრავ ქონებას (საცხოვრებელი სახლი, ბინა, მიწის ნაკვეთი და სხვა), 34 ავტოსატრანსპორტო საშუალებასა და 64 კომპანიის წილს.

2025 წელს სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამორთმეულ იქნა კორუფციული დანაშაულის ჩადენის გზით მოპოვებული 825 492 ლარის ღირებულების 15 უძრავი ქონება და 261 000 ლარის ღირებულების 4 სატრანსპორტო საშუალება.

9.3 კიბერდანაშაული

ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში კიბერდანაშაული სამართალდამცავი ორგანოებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კიბერდანაშაულის ჩასადენად ტექნოლოგიურად დახვეწილი რთული მეთოდები და საშუალებები გამოიყენება. სულ უფრო ხშირად კიბერდამნაშავეები ორგანიზებული დანაშაულის სტატუსით ოპერირებენ, დანაშაულებრივი კვალის დაფარვის შესაძლებლობები კი ყოველდღიურად იხვეწება, მიღებულ სარგებელს სულ უფრო ხშირად აკონვერტირებენ ვირტუალურ აქტივებად, რაც ხელს უშლის დანაშაულის ჩამდენ პირთა იდენტიფიცირებას, ნიღბავს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხების წარმომავლობას და ართულებს მიდევნებას.

კიბერდანაშაულის გამოძიების და საპროცესო ხელმძღვანელობის ხარისხის გასაზრდელად, საქართველოს პროკურატურა 2025 წელს იყენებდა უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმებს, იზიარებდა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, კომუნიკაცია ჰქონდა სერვისის მომწოდებლებთან და იყენებდა სამართლებრივი დახმარების შესაძლებლობებს.

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მუდმივად მოითხოვს საგამოძიებო და სისხლის-სამართლებრივი დევნის ორგანოების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. საქართველოს პროკურატურა, რელევანტური უწყების წარმომადგენლებთან ერთად, უზრუნველყოფს თანამშრომლების ჩართულობასა და მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში, რაც ხელს უწყობს უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერებასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

ბოლო წლებში, მზარდია კიბერდანაშაულზე დევნის დაწყების მაჩვენებელი, რაც ასევე განპირობებულია კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების, გამომძიებლებისა და ამ მიმართულების სპეციალიზებული საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორების გადამზადებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით.

კიბერდანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა 2020-2025 წლებში შემდეგია:

2020-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი კიბერდანაშაულებზე (სსკ-ის 284 - 286[2] მუხლები)



2025 წელს სასამართლოს მიერ სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე, კიბერდანაშაულისათვის მსჯავრდებულებს სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვათ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული დაახლოებით 3 780 000 ლარის ექვივალენტი ფულადი თანხა და 122 200 ლარის ვირტუალური აქტივი.

აღინიშნა, რომ თანამედროვე სამყაროში, გახშირდა კიბერდანაშაულის ჩადენის გზით მოპოვებული ქონებრივი აქტივის ვირტუალურ სივრცეში განთავსება. ამ გამოწვევის საპასუხოდ საქართველოს პროკურატურა წარმატებით თანამშრომლობს ვირტუალური აქტივების სერვის პროვაიდერებთან, საერთაშორისო თანამშრომლობის უწყებათაშორის ქსელებთან, რათა გამოძიებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უფრო სწრაფი და შედეგიანი გახდეს.

POG.GOV.GE

9.4 სამეწარმეო და საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაულები

სამეწარმეო და საფინანსო სფეროში ჩადენილი დანაშაულის გამოვლენა და დროული რეაგირება ხელს უწყობს სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის სტაბილურობასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ამ დანაშაულზე რეაგირების მოქნილი მიდგომები და სწრაფი სამართალწარმოების არსებობა უკიდურესად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური მდგრადობისთვის.

მიუხედავად ამ დანაშაულის გავრცელების მასშტაბისა, პროკურატურა ინარჩუნებდა თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მინიმალიზების პოლიტიკას, ორიენტირებული იყო თავისუფალ ეკონომიკურ ურთიერთობებში ბრალდებულის დაბრუნების შესაძლებლობის მიცემაზე და დაზარალებულის უფლებების აღდგენის მიზნით, ზიანის ანაზღაურების ხელშეწყობის პრაქტიკაზე.

საგადასახადო სფეროში ჩადენილი დანაშაული და საქონლის ლეგალური ბრუნვის წესის დარღვევა ამ სფეროში გავრცელებული დანაშაულებია.

გადასახადებისათვის განზრახ თავის არიდება ზიანს აყენებს სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას და ამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს. ამ დანაშაულთან ბრძოლა უზრუნველყოფს სამართლიან საგადასახადო გარემოს, სადაც ყველა მოქალაქე და ბიზნესსუბიექტი თანაბარ პირობებში ასრულებს საკუთარ ვალდებულებას, ზრდის ეკონომიკურ გამჭვირვალობასა და ინვესტორთა ნდობას ქვეყნის სამართლებრივ-ეკონომიკური ინსტიტუტების მიმართ. ეფექტიანი სამართლებრივი რეაგირება აძლიერებს კანონის უზენაესობას და საზოგადოებაში აყალიბებს პასუხისმგებლობის კულტურას, რაც აუცილებელია სახელმწიფოს მდგრადი განვითარებისათვის.

2025 წელს, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია ამ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი. კერძოდ: 2025 წელს სსკ-ის 218-ე მუხლით (გადასახადისათვის თავის არიდება) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 148 პირის მიმართ. მათ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისთვის განზრახ არიდებული გადასახადების საერთო ოდენობამ გადააჭარბა 48 მილიონ ლარს. შედარებისთვის, 2024 წელს სსკ-ის 218-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა 117 პირის მიმართ იყო დაწყებული.

აღნიშნულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა 2020-2025 წლებში შემდეგია:

2020-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის 218-ე მუხლზე



საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის არალეგალური მიმოქცევის სტაბილურად მაღალი მაჩვენებელი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. სისხლის სამართლის პოლიტიკა ამ დანაშაულის მიმართ ორიენტირებულია ზიანის ანაზღაურების პირობებში, სწრაფი მართლმსაჯულების მექანიზმების გამოყენებაზე, რაც ხელს უწყობს საქონლის ლეგალურ ბრუნვაში დროულ მოქცევასა და მეწარმე სუბიექტის ეკონომიკურ აქტივობაში სწრაფ დაბრუნებას. ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა 2025 წელს უპრეცედენტოა და გაზრდილია წინა წლებთან შედარებით, რასაც სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს.

2025 წელს სსკ-ის 214-ე მუხლით (საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 235 პირის მიმართ. შედარებისთვის, 2024 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა 156 პირის მიმართ იყო დაწყებული.

აღნიშნულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა 2020-2025 წლებში შემ-დეგია:

2020-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის 214-ე მუხლზე



მარკირებას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე უკანონო ბრუნვა ძირითადად განპირობებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან უაქციზო საქონლის შემოდინებით და ამ საქმიანობიდან მისაღები მაღალი ეკონომიკური სარგებელის ინტერესით, რაც ხელს უწყობს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ჩამოყალიბებასა და მათ საქმიანობაში მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა ჩართულობას.

წინა წელთან შედარებით გაზრდილია ყველა შემაჯამებელი გადაწყვეტილების მაჩვენებელი, კერძოდ: 2025 წელს სსკ-ის მე-200 მუხლით (მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 295 პირის მიმართ. შედარებისთვის, 2024 წელს სსკ-ის მე-200 მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა 210 პირის მიმართ იყო დაწყებული.

აღნიშნულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა 2020-2025 წლებში შემდეგია:

2020-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის მე-200 მუხლზე



სსკ-ის მე-200 და 214-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის უკანონო ბრუნვიდან ამოღებული საქონლის ჯამურმა ღირებულებამ გადააჭარბა 40 მილიონ ლარს. მათ შორის, ამოღებულია 6 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების უაქციზო თამბაქოს ნაწარმი და 11 მილიონ ლარზე მეტის ღირებულების უაქციზო ალკოჰოლური სასმელი. ასევე, მსჯავრდებულებს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვათ 6 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ძვირფასეულობა, მათ შორის, ოქროს ნივთები.

POG.GOV.GE

9.5 თაღლითობა

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა. შემუშავდა აქტივობები, რომელთა განხორციელება კრიტიკულად მნიშვნელოვანია აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გასაძლიერებლად.

ბოლო წლებში თაღლითობის ჩადენის მაჩვენებელი მაღალია და სხვა დანაშაულებს შორის, დევნის დაწყების მაჩვენებლით დანაშაულთა პირველ ათეულში იკავებს ადგილს. სხვა ეკონომიკური დანაშაულებისგან განსხვავებით, თაღლითობის შედეგად დაზარალებულებს უმეტესად მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი ადგებათ, კარგავენ უძრავ ქონებას (ბინა, სახლი, მიწის ნაკვეთი და აშ.), ავტომანქანას, დიდი ოდენობით ფულად თანხებს, ზარალის გამო ვერ აგრძელებენ სრულფასოვან ეკონომიკურ აქტივობას. ამასთან, თაღლითობის ჩამდენ პირთა დიდ ნაწილს არ გააჩნია საკუთარი ქონება, რომელიც დაზარალებულს ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას მისცემს. თუმცა რიგ შემთხვევაში დანაშაულზე დროული რეაგირება, დანაშაულის გარემოებების დადგენა და საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენება შესაძლოა ზიანის ანაზღაურების ერთადერთი შესაძლებლობა აღმოჩნდეს.

თაღლითობა კომპლექსური დანაშაულია და მასზე რეაგირებას დრო და სათანადო უნარ-ჩვევები სჭირდება. სწორედ ამიტომ 2025 წლის ბოლოს თბილისის პროკურატურაში შეიქმნა თაღლითობის სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველო, რომლის კომპეტენციას განეკუთვნება შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალიზებული დანაყოფის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა.

2025 წელს სსკ-ის 180-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 655 პირის მიმართ. წლების მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი შემდეგია:

2020-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის 180-ე მუხლზე



გვაქვს მოლოდინი, რომ თაღლითობის საქმეებზე სპეციალიზაციის დანერგვა და ახალი სტრუქტურული ერთეულის არსებობა დადებითად აისახება ამ კატეგორიის დანაშაულებზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების დროულად მიღებაზე.

POG.GOV.GE

9.6 „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლა

ორგანიზებული დანაშაული უარყოფით ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ სფეროებსა და საზოგადოების ზნეობრივ მდგომარეობაზე.

ორგანიზებული დანაშაულის გავლენა ხშირად სცდება ერთი ქვეყნის ფარგლებს, რთულია დანაშაულებრივ ჯაჭვში ჩართული ყველა რგოლის გამოვლენა, რაც საჭიროებს თანამშრომლობისა და ოპერატიული შესაძლებლობების მაქსიმალურ კოორდინაციას. მიუხედავად ამ დანაშაულთან ბრძოლის სირთულეებისა, სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკის აღსრულების პირობებში შესაძლებელია ხელშესახები შედეგების მიღწევა.

პროკურატურა ქმედითად იყენებდა უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმებს ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენის, მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების დანერგვისა და პოზიტიური გამოცდილების გაზიარებისთვის.

2025 წელსაც საქართველოს პროკურატურის სისხლის სამართლის პოლიტიკა მკაცრი იყო „ქურდულ სამყაროსთან“ დაკავშირებული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. სისხლის სამართლის საქმეები, როგორც წესი, სასამართლოში არსებითად განიხილებოდა და საპროცესო შეთანხმება მხოლოდ განსაკუთრებული თანამშრომლობის შემთხვევებში გამოიყენებოდა.

ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის წლიური შედეგები ცხადყოფს ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სწორი და შედეგიანი მეთოდების გამოყენების პრაქტიკას, 2025 წელს სსკ-ის 223[1], 223[2], 223[3] და 223[4] მუხლებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 242 პირის მიმართ, რაც 197 პირით აღემატება წინა წლის შედეგს. კერძოდ:

- ,,კანონიერი ქურდობის“ ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 18 პირის მიმართ, რაც 260%-ით აღემატება 2024 წლის მაჩვენებელს;
- ,,ქურდული სამყაროს“ წევრობის ფაქტზე 67 პირს წარედგინა ბრალდება, რაც 235%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს;
- ,,ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 18 პირის მიმართ, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 500%-ით მეტია;
- ,,ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტზე 440%-ით გაიზარდა ბრალდებულთა რაოდენობა და შეადგინა 54 პირი;

- „კანონიერი ქურდისთვის/ქურდული სამყაროს წევრისათვის“ მიმართვის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 85 პირის მიმართ, რაც 2024 წლის მაჩვენებელს 1114%-ით აღემატება.

ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებული დანაშაულების მიმართ სწრაფი მართლმსაჯულების პრაქტიკა იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებული თანამშრომლობის შემთხვევებში გამოიყენება, რის გამოც მართლმსაჯულების აღსრულება დროის დიდ რესურსს მოითხოვს.

აღნიშნულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა 2020-2025 წლებში შემდეგნაირია:

2020-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის 223[1] - 223[4] მუხლებზე



POG.GOV.GE

9.7 ნარკოტიკული დანაშაულები

ნარკოტიკული დანაშაული საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია და პირველ ადგილს იკავებს დევნის დაწყების მაჩვენებლით. ქვეყნებს შორის ადამიანებისა და ტვირთების გადაადგილების გამარტივებამ და ორგანიზებული დანაშაულებრივი ქსელების გლობალიზაციამ ხელი შეუწყო ნარკოტიკული საშუალებების გავრცელებისა და ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ზრდას.

მზარდია ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლებისა და რეალიზატორების გამოვლენის რიცხვიც და მკაცრია რეალიზატორთა მიმართ სასჯელის გამოყენების პოლიტიკა.

2025 წელს პროკურატურა ინარჩუნებდა რეალიზატორების მიმართ საპროცესო შეთანხმებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა შეღავათების გამოყენების მინიმალიზების პოლიტიკას, თუ სახეზე არ იყო განსაკუთრებული თანამშრომლობის პირობები და ამ შემთხვევაშიც, საპროცესო შეთანხმება მხოლოდ საპატიმრო სასჯელზე გარიგების პირობით გამოიყენებოდა.

გაიზარდა რეალიზატორების გამოვლენისა და მათი დანაშაულებრივი კავშირების გამოძიების პრაქტიკა, ხოლო დანაშაულებრივ ქსელში ჩართული ხელშემწყობი პირების მიმართ გატარდა მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა.

სახელმწიფოებს შორის დისტანციური ვაჭრობისა და კომუნიკაციების არხების განვითარების გამო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების დაგეგმვისა და აღსრულების თანამედროვე მეთოდების ცოდნა. გამოწვევაა ონლაინ სივრცეში ნარკომოვაჭრე პირების გამოვლენა და გადახდის საშუალებების (მათ შორის, კრიპტოვალუტის) მიდევნება. ამ მიზნით 2025 წელს საქართველოს პროკურატურა აქტიურად იყენებდა პროკურორთა განგრძობადი გადამზადების შედეგად დაგროვილ გამოცდილებას ნარკოტიკული დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების დადგენისა და კვალის მიდევნების მეთოდებზე.

ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელთა მზარდი რაოდენობის მიუხედავად, პროკურატურა მათ მიმართ ატარებს დაბალანსებულ პოლიტიკას და იყენებს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშემწყობ სასჯელს, რომელიც დანაშაულის გავრცელების შემცირებისა და მომხმარებლის დამოკიდებულებისგან გათავისუფლების ხელშემწყობ საშუალებას წარმოადგენს.

ნარკოტიკული დანაშაულის გავრცელების შესამცირებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის დროულად გამოვლენასა და მართლმსაჯულების აღსრულებას. 2025 წელი გამორჩეული იყო ამ

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობით. სწორად დაგეგმილი და აღსრულებული ოპერატიული, საგამოძიებო და საპროკურორო თანამშრომლობის შედეგად 2025 წელს, წინა წელთან შედარებით, 109%-ით გაიზარდა სსკ-ის 260-ე მუხლით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთა რაოდენობა და შეადგინა 6122 პირი.

სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა 2020-2025 წლებში შემდეგნაირია:

2020-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის 260-ე მუხლზე



სახელმწიფოთა შორის ადამიანებისა და ტვირთების გადაადგილების მზარდი სტატისტიკის პარალელურად, იზრდება საზღვარზე ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის რისკებიც. შესაბამისად, 2025 წელსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საზღვარზე მიგრირებად ვიზიტორებსა და იმპორტირებულ ტვირთებს. ნარკოტიკული და სხვა აკრძალული საშუალებების საქართველოში შემოტანისა და ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის საპრევენციოდ გატარებული ღონისძიებების ფარგლებში, 2025 წელს გაუმჯობესდა დანაშაულის გამოვლენისა და რეაგირების წინა წლის მაჩვენებელი, მათ შორის, გამოვლინდა ნარკოტრაფიკში ჩართული უფრო მეტი უცხოელი. აღსანიშნავია, რომ ამ დანაშაულებზე 2025 წლის სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი აღემატება წინა 5 წლის ანალოგიურ მონაცემებს, რაც ერთმნიშვნელოვნად ხაზს უსვამს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრებულ და შედეგიან პოლიტიკას. კერძოდ, სსკ-ის 262-263-ე მუხლებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 138 პირის მიმართ (აქედან, 98 უცხო ქვეყნის მოქალაქეა), შედარებისთვის, 2024 წლის ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 102 პირს (აქედან, 58 უცხო ქვეყნის მოქალაქე).

აღნიშნულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა 2020-2025 წლებში შემდეგნაირია:

2020-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის 262-ე და 263-ე მუხლებზე



2025 წელს ნარკოტიკული საშუალებების გასაღების ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 546 ნარკორეალიზატორის მიმართ, რაც წინა 5 წლის მონაცემებთან შედარებით უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელია, ხოლო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა 348 პირის მიმართ, რაც ასევე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2020-2024 წლებთან შედარებით. ნარკორეალიზატორთა მიმართ ყველა შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იყო პატიმრობა.

2020-2025 წლებში ნარკორეალიზატორების მიმართ გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგები



9.8 ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ თანმიმდევრული და კოორდინირებული ღონისძიებების გატარება, საქართველოსა და რეგიონში უსაფრთხო და საიმედო გარემოს ქმნის. სახელმწიფო მნიშვნელოვან ძალისხმევას სწევს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც აისახება სტაბილურად უმაღლეს შეფასებაში. კერძოდ, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ინდექსში საქართველო უკვე 10 წელია ინარჩუნებს ადგილს საუკეთესო – „პირველ კალათაში"[3]. აღსანიშნავია, რომ 188 ქვეყნიდან მხოლოდ 33 ქვეყანაა პირველ კალათაში. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2025 წლის 29 სექტემბრის ანგარიშის თანახმად, ტრეფიკინგის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებებით, საქართველო 2025 წელსაც ერთადერთი იყო რეგიონის მასშტაბით, რომელმაც შეფასების უმაღლესი ნიშნული დაიკავა.

ანგარიშში ხაზგასმულია ტრეფიკინგის წინააღმდეგ გაძლიერებული ძალისხმევა, როგორც დანაშაულის პრევენციის, ასევე, დამნაშავეთა გამოვლენის, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით. პოზიტიურად შეფასდა პროკურატურის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითება ტრეფიკინგის საქმეებში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სავალდებულოდ ჩართვის შესახებ.

2025 წელს, პროკურატურის ორგანიზებით, შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის, პრევენციისა და აღკვეთის უწყებათაშორისი მულტიდისციპლინურმა ჯგუფმა აქტიურად იმუშავა შრომითი ტრეფიკინგის მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებზე, მათ შორის, ბავშვთა ტრეფიკინგის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების მექანიზმებზე.

2025 წლის 18 ოქტომბერს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით, თბილისში, საქართველოს პროკურატურისა და შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლობით, შრომითი ექსპლუატაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრა ჩატარდა. პროკურატურისა და შრომის ინსპექციის წარმომადგენლებმა კერძო სექტორში დასაქმებულ პირებს მიაწოდეს ინფორმაცია ტრეფიკინგის მიმართულებით არსებულ ვითარებაზე, ტრეფიკინგის მსხვერპლთა მხარდაჭერისა და დაცვაზე ორიენტირებულ მიდგომებზე.

[3] https://www.state.gov/reports/2025-trafficking-in-persons-report/

2025 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ მომზადდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 2025 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზები, ქართულ და ინგლისურ ენებზე.[4]

ტრეფიკინგზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და დაზარალებულად ცნობის სტატისტიკა 2020-2025 წლებში შემდეგნაირია:

სტატისტიკური ინფორმაცია სსკ-ის 143[1] მუხლზე



სტატისტიკური ინფორმაცია სსკ-ის 143[2] მუხლზე



[4] pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phps5HMIp.pdf

9.9 ტერორიზმი და რადიოაქტიური ნივთიერებები

ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ (ISIS, ISIL) 2014 წლიდან აქტიურად ახორციელებს პირთა რეკრუტირებას მსოფლიოს მასშტაბით, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარებისა და გაზრდილი მიგრაციის პირობებში. მსოფლიოში მიმდინარე პროცესები უარყოფითად აისახება კავკასიის რეგიონზე, მათ შორის, საქართველოზეც.

საყურადღებოა, რომ საქართველოში მცხოვრები ,,ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერი პირები მიდიან სირიის არაბთა რესპუბლიკაში და ერთიანდებიან მათ რიგებში. არსებობს ტერორისტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოს ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენების საფრთხეც.

საქართველოს პროკურატურისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კოორდინირებული მუშაობის შედეგად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კონკრეტული პირების იდენტიფიცირებისა (როგორც სირიის ტერიტორიაზე მყოფი „ისლამური სახელმწიფოს“ წევრების, ისე საქართველოში მისი წევრებისა და მხარდამჭერების გამოვლენა) და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.

2025 წელს უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებისა და მხარდაჭერის ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებსა და ტერორისტულ პროპაგანდაში სირიის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ხოლო განაჩენი გამოტანილია 2 პირის მიმართ.

„ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაკავშირებული და მისი იდეოლოგიის მხარდამჭერი 5 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, რომელთაგანაც ამოღებულია ფეთქებადი ნივთიერება, ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, ხოლო განაჩენი გამოტანილია 2 პირის მიმართ.

გამოვლინდა და დაკავებულია საქართველოში უკანონოდ შემოსული უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე, რომლებიც ტერორისტულ საქმიანობასთან კავშირის გამო საერთაშორისო დონეზე იძებნებოდნენ.

სსკ-ის 328-ე მუხლით სააპელაციო სასამართლოში არსებითი განხილვის შედეგად დადგა გამამტყუნებელი განაჩენი ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ სამხედრო ემირის ძმის, ამავე ორგანიზაციის წევრის მიმართ.

გლობალური უსაფრთხოებისა და ტერორისტული დანაშაულების პრევენციის მიზნით მეტად

მნიშვნელოვანია ბირთვული მასალისა და რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა.

ბირთვული მასალისადმი უკანონო მოპყრობის ფაქტზე (სსკ-ის 230-ე მუხლი) 2025 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო და გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია 2 პირის მიმართ. მათგან ამოღებულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი რადიოაქტიური ნივთიერება – ურანი (ბირთვული მასალა).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 3 მოქალაქის მიმართაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ბირთვული მასალისადმი უკანონო მოპყრობის ფაქტზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე გეგმავდნენ ბირთვული მასალის - ურანის შეძენას და მის ექსპორტს.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობიდან და მისგან მომდინარე საფრთხეებიდან გამომდინარე საქართველოს პროკურატურა ატარებს საერთაშორისო თანამშრომლობაზე დაფუძნებულ მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას.

2020-2025 წლების საქმიანობის შედეგი ტერორიზმისა და რადიოაქტიული ნივთიერებების უკანონო განკარგვის ფაქტებზე



2020-2025 წლების საქმიანობის შედეგი ტერორიზმისა და რადიოაქტიული ნივთიერებების უკანონო განკარგვის ფაქტებზე
(დევნის დაწყება სსკ-ის მუხლების მიხედვით)



2020-2025 წლების საქმიანობის შედეგი ტერორიზმისა და რადიოაქტიული ნივთიერებების უკანონო განკარგვის ფაქტებზე
(განაჩენები სსკ-ის მუხლების მიხედვით)



9.10 საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევა და უკანონო მიგრაცია

ქვეყნებს შორის ადამიანების გადაადგილების გამარტივებამ და ორგანიზებული დანაშაულებრივი ქსელების გლობალიზაციამ ხელი შეუწყო უკანონო მიგრაციის ზრდას. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო მარშრუტების არსებობა და უსაფრთხო ქვეყნის სტატუსი საქართველოს მიმზიდველს ხდის უკანონო მიგრაციისთვის. ამავდროულად, ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა ზრდის საზღვრის დაცვასთან დაკავშირებულ რისკებს.

პროკურატურა წლებია ატარებს მკაცრ პოლიტიკას უკანონო მიგრაცასთან დაკავშირებული დანაშაულის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმის აქტიურ გამოყენებასა და უკანონო მიგრანტების ქვეყნიდან განრიდების პოლიტიკის ხელშეწყობას.

აღსანიშნავია, რომ დანაშაულის ჩამდენთა უმრავლესობა – 521 პირი (80,3%) უცხო ქვეყნის მოქალაქეა, შესაბამისად, ქვეყნიდან მათი დროული გაყვანისათვის მნიშვნელოვანია ქმედითი საკანონმდებლო რეგულაციის არსებობა. 2025 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა სასჯელის ახალი სახე - უცხოელის საქართველოდან გაძევება და შემოსვლის აკრძალვა, რომელიც პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება.

2025 წელს, წინა 5 წელთან შედარებით, უპრეცედენტოდ მაღალია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე. კერძოდ, სსკ-ის 344-344[1] მუხლებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 649 პირის მიმართ. შედარებისთვის, 2024 წელს სსკ-ის 344-344[1] მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა 562 პირის მიმართ იყო დაწყებული.

აღნიშნულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სტატისტიკა 2020-2025 წლებში შემდეგნაირია:

2020-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის 344-ე და 344¹ მუხლებზე



POG.GOV.GE

9.11 არასათანადო მოპყრობა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაუქმების შემდგომ, 2025 წლის 1 ივლისიდან, გაფართოვდა საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობა, მათ შორის, გადაეცა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული დანაშაულებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციისა და (ან) მისი დამატებითი ოქმების დარღვევის ფაქტების გამოძიების უფლებამოსილება.

არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა ეფექტიანი გამოძიების, საპროცესო ხელმძღვანელობის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისა და დანაშაულის მსხვერპლის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს გენერალური პროკურორის 2025 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებით, პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის დამტკიცდა სახელმძღვანელო მითითება „არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და ინფორმაციის მიწოდების შესახებ“.

2025 წელს, წინა წლების მსგავსად, მონიტორინგს დაექვემდებარა მოხელისან მასთან გათანაბრებული პირების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეები. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, მომზადდა არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზები, ქართულ და ინგლისურ ენებზე.[5]

2025 წელს არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 134 სისხლის სამართლის საქმეზე, ამათგან 62 საქმეზე გამოძიება დაიწყო სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში. საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ, აღნიშნული საქმეები, გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფებს და ინტენსიურად გაგრძელდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 7 სისხლის სამართლის საქმეზე, სსკ-ის 333-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

[5] https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpHMFVlP.pdf
https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpxlryvg.pdf

პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 121 სისხლის სამართლის საქმეზე. ამათგან, 120 საქმეზე - სსკ-ის 333-ე მუხლით, ხოლო 1 საქმეზე - სსკ-ის 144[3] მუხლით.

სასამართლოს მანდატურებისა და პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 1 სისხლის სამართლის საქმეზე, სსკ-ის 333-ე მუხლით.

სასამართლოს მანდატურების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 5 სისხლის სამართლის საქმეზე, სსკ-ის 333-ე მუხლით.

2025 წელს, არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტით დაზარალებულად ცნობილია 74 პირი, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პოლიციის 6 თანამშრომლის მიმართ.

პოლიციელის, მანდატურის და პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომლის მხრიდან ჩადენილი არასათანადო მოპყრობა 2020-2025 წლებში



2020-2025 წლებში პოლიციელის, მანდატურის და პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომლის მხრიდან ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



2020-2025 წლებში პოლიციელის, მანდატურის და პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომლის მხრიდან ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



9.12 პირადი ცხოვრების ხელყოფის დანაშაულები

2025 წლის საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო მანდატს დაექვემდებარა პირადი ცხოვრების ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიება.

ამ დანაშაულის მზარდი ხასიათისა და დაზარალებულისთვის მიყენებული მორალური ზიანის სიმძიმიდან გამომდინარე, მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების დახვეწა და მართლმსაჯულების აღსრულება პროკურატურის სტრატეგიული პრიორიტეტია.

გაზრდილია სოციალური ქსელების ყალბი ანგარიშების გამოყენებით დანაშაულის ჩამდენ პირთა რაოდენობა, რომლებიც ადვილად ახერხებენ მოწყვლადი პირების ნდობის მოპოვებას, რასაც, როგორც წესი, თან ახლავს მათი პირადი ცხოვრების ამსახველი ინტიმური ინფორმაციის მოპოვება, ფულის გამოძალვა, სქესობრივი ურთიერთობის იძულება, შანტაჟი ან სხვა.

აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე მნიშვნელოვანია შემაჯამებელი გადაწყვეტილების დროულად მიღება და მსხვერპლთათვის მეორეული ვიქტიმიზაციის რისკების შემცირება. ამ მიზნით, გაიზარდა სამართალწარმოების პროცესში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა.

პროკურატურა მუშაობს საკანონმდებლო წინადადებაზე, რომლის თანახმად, მხარეთა მიერ ინფორმაციის გაცვლისას შეიზღუდება პირის ინტიმური ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემცველი მასალის ასლის სახით გადაცემის პრაქტიკა, რაც გამორიცხავს ამგვარი ინფორმაციის შესაძლო გავრცელების რისკს.

აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე პროკურატურა ატარებს მკაცრ პოლიტიკას. ითხოვს საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას და საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, უპირატესად იყენებს თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულ სასჯელს.

2025 წელს სსკ-ის 157-159-ე მუხლებით გამოძიება დაიწყო 162 საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა - 78 პირის მიმართ, ხოლო განაჩენი გამოტანილია 71 პირის მიმართ. შედარებისთვის, 2024 წელს სსკ-ის 157-159-ე მუხლებით გამოძიება დაიწყო 193 საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა - 89 პირის მიმართ, განაჩენი კი გამოტანილი იყო 78 პირის მიმართ.

აღნიშნული დანაშაულების გამოვლენისა და მასზე რეაგირების სტატისტიკა 2020-2025 წლებში შემდეგნაირია:

სტატისტიკური ინფორმაცია სსკ-ის 157-159-ე მუხლებზე



POG.GOV.GE

9.13 ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახური დანაშაული

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში საქართველოს პროკურატურა მრავალი წელია ახორციელებს დაზარალებულის ინტერესების დაცვასა და დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებულ, სწორ და თანმიმდევრულ სისხლის სამართლის პოლიტიკას. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, რაზეც მიუთითებს ამ დანაშაულზე დაზარალებულად ცნობისა და დევნის დაწყების მაღალი მაჩვენებლები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ რჩება საქართველოს პროკურატურის პრიორიტეტულ მიმართულებად.

2025 წელს ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4585 პირის მიმართ. წლების მიხედვით დევნის დაწყების მაჩვენებელი შემდეგია:

ოჯახურ დანაშაულზე დევნის დაწყების მაჩვენებელი

გასულ წელს კვლავ მკაცრი იყო პროკურატურის პოლიტიკა, რაც გამოიხატებოდა ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნაში. 2025 წელს ოჯახურ დანაშაულზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელმა 91% შეადგინა. სტატისტიკური

მონაცემების მიხედვით, ბოლო 6 წლის განმავლობაში (2020-2025 წლები) ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი სტაბილურად მაღალია და 90%-დან 94%-მდე მერყეობს. 2020-2025 წლებში ოჯახურ დანაშაულზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი შემდეგია:

ოჯახურ დანაშაულზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი



რაც შეეხება ოჯახურ დანაშაულზე მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელს, 2025 წელს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობებიდან საერთო სასამართლოების მიერ დაკმაყოფილდა 62%. წლების მიხედვით ოჯახურ დანაშაულზე პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი შემდეგია:

ოჯახურ დანაშაულზე მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი

2025 წელსაც გაგრძელდა პროკურორთა სპეციალიზაცია ოჯახური დანაშაულის საქმეებზე, შედეგად, სპეციალიზაციის ტრენინგი გაიარა 21-მა პროკურორმა.

2025 წელს გაგრძელდა ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი, რა დროსაც ყურადღება გამახვილდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების დროულობაზე, კვალიფიკაციის სისწორეზე, ასევე, დაზარალებულად ცნობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროულობაზე.

2025 წელს შესწავლილ იქნა ოჯახურ დანაშაულზე გამოტანილი გამამართლებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენები, მათ შორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები, ასევე, სასამართლოს განჩინებები, რომლითაც არ დაკმაყოფილდა პროკურორის მოთხოვნა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის მიზანია მოვახდინოთ საგამოძიებო, საპროკურორო და სასამართლო პრაქტიკაში არსებული ტენდენციების გამოვლენა/შეფასება, ხარვეზების აღმოფხვრა, სასამართლოს საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინება, სწორი და ერთგვაროვანი მიდგომების დანერგვა.

ოჯახური დანაშაულის რეციდივის კვლევის მიზნებისთვის 2025 წელს შესწავლილია 2018 წლის განმავლობაში ოჯახურ დანაშაულზე დევნადაწყებული სისხლის სამართლის საქმეები, ასევე, იმ პირთა სისხლის სამართლის საქმეები, რომლებმაც განმეორებით ჩაიდინეს ოჯახური დანაშაული. მონაცემების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვროთ დანაშაულის რეციდივის შესაძლო ფაქტორები, შევაფასოთ ოჯახურ დანაშაულზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ეფექტიანობა, აგრეთვე, კვლევასა და ანალიზზე დაყრდნობით სამომავლოდ შემუშავდეს სწორი და ეფექტიანი სისხლის სამართლის პოლიტიკა.

2025 წელს კვლავ აქტუალური იყო ოჯახური დანაშაულის მსხვერპლთა მხარდაჭერა და გაძლიერება. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები პრიორიტეტულად ერთვებოდნენ ოჯახური დანაშაულის საქმეებში, ხოლო სავალდებულო წესით ერთვებოდნენ ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ, სსკ-ის 109-ე, 115-ე, 137-141-ე, 143-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებში.

2025 წელს დამუშავდა ოჯახური დანაშაულის წინა წლის სტატისტიკური მონაცემები, რაც გამოქვეყნდა პროკურატურის ვებგვერდზე.[6] სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების ყოველწლიური დამუშავება და ანალიზი ოჯახურ დანაშაულზე დინამიკაში დაკვირვებისა და ტენდენციების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა.

POG.GOV.GE

6 https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phptIxsbX.pdf

9.14 სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიის თანახმად, სქესობრივი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

2025 წლის განმავლობაში პროკურატურამ განახორციელა არაერთი აქტივობა, რაც ხელს უწყობს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე დაზარალებულის ინტერესებზე ორიენტირებული სამართალწარმოების განხორციელებას და მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებას.

2025 წელს დამუშავდა 2024 წლის სქესობრივი დანაშაულების სტატისტიკა დანაშაულთა სახეების, რეგიონული განფენილობის, ბრალდებულთა და დაზარალებულთა სქესის, ასაკის, ასევე, მათ შორის, არსებული სოციალური კავშირის შესახებ. დამუშავებული მონაცემები ხელმისაწვდომია პროკურატურის ვებგვერდზე[7]. 2020-2025 წლებში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი შემდეგია:

სსკ-ის 137-141-ე მუხლებზე 2020-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



7 https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpSmLFBF.pdf

სქესობრივ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი მუხლობრივ ჭრილში შემდეგია:



2025 წელს პროკურატურა პროაქტიულად ახორციელებდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის, ასევე, სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საქმეების მონიტორინგს სამართალწარმოების ყველა ეტაპზე. გაანალიზდა 2024 წლის განმავლობაში სსკ-ის 137-141-ე მუხლებით დევნადაწყებული და შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეები და გამოტანილი განაჩენები. შეფასდა სასამართლოს მიდგომები დაზარალებულის, მათ შორის, შშმ პირთა ჩვენების გაზიარების, ასევე, მტკიცებულებათა სტანდარტის შეფასების ნაწილში.

ცალკე გაანალიზდა არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი ძალადობისა და სექ-სუალური ექსპლუატაციის დანაშაულთა საქმეები. ანალიზის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა გამოძიების დაწყების ვადაზე და კვალიფიკაციაზე, პირის დაზარალებულად ცნობისა და სისხ-ლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად არსებულ მტკიცებულებათა სტანდარტზე. შეფასდა სპეციალიზაციის შემდეგომ პროკურატურის მიერ დანერგილი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მიდგომების პრაქტიკული განხორციელების საკითხი.

სქესობრივ დანაშაულზე არასრულწლოვანი დაზარალებულების მეორეული ვიქტიმიზაციის რისკების შესამცირებლად დანერგილი პრაქტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრთან ერთად განიხილულ იქნა არსებული მიღწევები და გამოწვევები, ასევე, დაისახა კონკრეტული გეგმები სამომავლო კოორდინირებული თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით.

რაც შეხება სქესობრივი დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა სტატისტიკურ მაჩვენებლებს, 2025 წელს, სისხლის სამართლის კოდექსის 137-141-ე მუხლებით, დაზარალებულად ცნობილია 240 პირი, მათ შორის, 189 არასრულწლოვანი და 51 სრულწლოვანი.[8]

2025 წელს დაზარალებულად ცნობილი 189 არასრულწლოვნიდან 172 არის გოგო, ხოლო 17 ბიჭი. ცალკეული სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლთა მონაცემები სქესის მიხედვით შემდეგია:



სქესობრივ დანაშაულზე დაზარალებულად ცნობილ არასრულწლოვანთა მონაცემები სქესის მიხედვით და ასაკობრივ ჭრილში შემდეგია:

[8] დაზარალებულად ცნობის შესახებ ინფორმაცია დათვლილია პირთა რაოდენობის მიხედვით და მოიცავს როგორც ცალკეული მუხლით, ასევე, დანაშაულთა ერთობლიობის დროს აღნიშნული მუხლებით კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციას.

არასრულწლოვანი დაზარალებულები ასაკისა და სქესის მიხედვით



2025 წლის მონაცემებით, სსკ-ის 137-139-ე მუხლებით დაზარალებულად ცნობილია 51 სრულწლოვანი. დაზარალებულთა დეტალური მონაცემები სქესის და ცალკეული მუხლის მიხედვით შემდეგია:

სსკ-ის 137-139-ე მუხლებზე დაზარალებულად ცნობილი სრულწლოვნები



უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სექსუალური ძალადობის მძიმე შემთხვევებში არა მხოლოდ გამოტანილი იქნას გამამტყუნებელი განაჩენი, არამედ გამოყენებულ იქნას ჩადენილი ქმედების პროპორციული სასჯელის სახე და ზომა. აღსანიშნავია, რომ 2023-2025 წლებში არასრულწლოვანთა

გაუპატიურების 7 საქმეზე 7 პირის მიმართ სასჯელის სახედ და ზომად გამოყენებულია უვადო თავისუფლების აღკვეთა. 2023-2025 წლებში უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შემთხვევებში მოძალადისა და დაზარალებულის ურთიერთკავშირის შესახებ დეტალური მონაცემები შემდეგია:

2023-2025 წლები არასრულწლოვანთა გაუპატიურების ფაქტზე მსჯავრდებულები, რომელთაც შეეფარდათ უვადო თავისუფლების აღკვეთა



ტექნოლოგიური განვითარების პირობებში ფართოდ გავრცელდა ციფრული ძალადობა, რაც გულისხმობს ონლაინ სივრცეში ჩადენილ დანაშაულებს. შესაბამისად, 2025 წელს პროკურატურის მიერ განსაკუთრებულ ყურადღება დაეთმო ონლაინ სივრცეში ბავშვის მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის ფაქტებზე დროულ და ეფექტიან რეაგირებას. 2020-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და დაზარალებულად ცნობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები შემდეგია:

2020-2025 წლებში ბავშვთა მიმართ ონლაინ სექსუალურ ძალადობაზე ბრალდებული და დაზარალებული პირები



2020-2025 წლებში ონლაინ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე ბრალდებული ყველა პირი მამრობითი სქესის იყო.

2020-2025 წლებში ონლაინ სექსუალური ძალადობის ფაქტებზე არასრულწლოვან დაზარალებულთა მონაცემები სქესის მიხედვით შემდეგია:

2020-2025 წლებში ონლაინ ძალადობის არასრულწლოვან დაზარალებულთა სქესი



ბავშვთა მიმართ ჩადენილ ონლაინ ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირება გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება, როგორიც არის: მტკიცებულებების მოპოვება, სხვადასხვა მოწყობილობიდან ინფორმაციის გამოთხოვა, ყალბი ინტერნეტანგარიშებით მოსარგებლე პირთა იდენტიფიცირება. მიუხედავად აღნიშნული გამოწვევებისა, ბავშვთა მიმართ ჩადენილ ონლაინ ძალადობის ფაქტებზე გამოძიება დაუყოვნებლივ იწყება და ტარდება ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დანაშაულის ჩამდენი პირების დროული გამოვლენისა და დასჯის მიზნით, რაც ბოლო წლებში სისხლისსამართლებრივი დევნისა და დაზარალებულად ცნობის გაზრდილ მაჩვენებელზეც აისახა.

2025 წელს ბავშვთა მიმართ ჩადენილ ონლაინ სექსუალური ძალადობის ფაქტებზე სისხლის-სამართლებრივი დევნა დაიწყო 13 პირის მიმართ, ხოლო დაზარალებულად ცნობილია 24 არასრულწლოვანი – 21 გოგონა და 3 ბიჭი.

2025 წელს ონლაინ ძალადობის შედეგად დაზარალებულ არასრულწლოვანთა ასაკი და სქესი



მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში, ნაადრევი ქორწინების მანკიერი მხარეების და მისი დასჯადობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა, გოგონათა მიმართ ძალადობის ისეთი ფორმა, როგორიცაა ნაადრევი ქორწინება, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს.

ნაადრევი ქორწინებაზე და მასთან დაკავშირებულ სხვა მომიჯნავე დანაშაულებზე რეაგირების არსებული სამართლებრივი მექანიზმების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, 2025 წელს მომზადდა და პროკურატურის ვებგვერდზე განთავსდა საინფორმაციო ბროშურა (გზამკვლევი), რომელიც დაინტერესებულ პირებს აწვდის დეტალურ ინფორმაციას ნაადრევი ქორწინების, თავისუფლების აღკვეთისა და ქორწინების იძულების შესახებ.[9] გზამკვლევში მოცემულია ინფორმაცია ზემოაღნიშნული დანაშაულების დეფინიციების და სასჯელების, ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი პროცედურების, დაზარალებულის უფლება-მოვალეობებისა და მხარდაჭერის პროგრამების შესახებ.

2025 წელს მომზადდა 2024-2025 წლებში არასრულწლოვანთან ქორწინების მოტივით ჩადენილი დანაშაულების (სსკ-ის 140-ე, 143-ე და 150[1] მუხლები) ანალიზი. ასევე, მომზადდა და პროკურორებისათვის ხელმისაწვდომი გახდა სახელმძღვანელო მითითება „სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე“. დამუშავდა და საჯაროდ ხელმისაწვდომია შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია.

სამომავლოდ, პროკურატურა აქტიურად გააგრძელებს სქესობრივი დანაშაულების საქმეთა მონიტორინგს, სასამართლოს გადაწყვეტილებების შესწავლას და ანალიზს, რომლის შედეგებიც გაზიარებული იქნება პროკურორებისათვის. ასევე, განახლდება სახელმძღვანელო მითითება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, გაგრელდება კოორდინირებული მუშაობა სქესობრივი დანაშაულისა და სექსუალური ექსპლუატაციის საქმეებზე მომუშავე უწყებებთან, გაიმართება შეხვედრები პროკურორებთან პრაქტიკაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის მიზნით, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს მართლმსაჯულებაზე დაზარალებულთა ხელმისაწვდომობის გაზრდას, მათი უფლებების ეფექტიან რეალიზებას, ერთგვაროვანი პრაქტიკის და სწორი და თანმიმდევრული სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებას.

POG.GOV.GE

9 https://pog.gov.ge/gzamkvlevi

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

9.15 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და უფლებების დაცვა საქართველოს პროკურატურის სტრატეგიული პრიორიტეტია.

საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე[10] გამოქვეყნებული, 2025 წელს დამტკიცებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის პროკურატურის სამოქმედო გეგმა ეფუძნება ისეთ პრიორიტეტებს, როგორიცაა:

- სამართალწარმოების პროცესში შშმ პირების უფლებებისა და საჭიროებების შესაბამისი პროცედურული მისადაგების უზრუნველყოფა;
- შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების, სისხლის სამართალწარმოებაში გამოვლენილი გამოწვევების აღმოფხვრის მიზნით შშმ თემთან, შშმ პირთა ორგანიზაციების (DPOs) წარმომადგენლებთან, საზოგადოებასთან და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის ხარისხის ამაღლება;
- შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე დროული სისხლისსამართლებრივი დევნა და პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის განგრძობადი ამაღლება.

შშმ პირების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით 2025 წელს მომზადდა და პროკურატურის ვებ გვერდზე[11] გამოქვეყნდა შშმ პირთა (მათ შორის არასრულწლოვნების) მიმართ და კანონთან კონფლიქტში მყოფი შშმ არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზები, რომელიც მოიცავს სისხლისსამართლებრივ და კრიმინოლოგიურ ასპექტებს.

საქართველოს პროკურატურამ გააგრძელა აქტიური თანამშრომლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან, შშმ თემის წარმომადგენლებთან და შშმ პირთა ორგანიზაციების (DPOs) წარმომადგენლებთან. 2025 წლის 3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

10 https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/php6cVPV1.pdf.

11 https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phptYtgrZ.pdf https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpPcb0gr.pdf; https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpQDcI4v.pdf https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpoey2Ql.pdf; https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpX5lXn5.pdf https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phppG7vkC.pdf.

საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საკონსულტაციო საბჭოსთან, შშმ თემისა და შშმ პირთა ორგანიზაციების (DPOs) წარმომადგენლებთან პროკურორების სამუშაო შეხვედრა გაიმართა. თანამშრომლობის ფარგლებში განხილულ იქნა შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, არსებული გამოწვევები და პროცესის მონაწილე შშმ პირებთან მუშაობის სტანდარტები.

პროკურორებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების შესრულების მონიტორინგის შედეგად გაიზარდა შშმ პირთა საქმეებზე საპროკურორო საქმიანობის ხარისხი და ეფექტიანობა.

POG.GOV.GE

9.16 შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები

პროკურატურის სტრატეგიული პრიორიტეტია შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა და საპროცესო ხელმძღვანელობის ხარისხის ამაღლება, რასაც უზრუნველყოფს 162 სპეციალიზებული თანამშრომელი. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებში დისკრიმინაციული მოტივის იდენტიფიცირების მაჩვენებელი.

2020-2025 წლებში საქართველოს პროკურატურამ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5544 პირის მიმართ. დისკრიმინაციის ნიშნების მიხედვით სეგრეგირებული მონაცემები შემდეგია: გენდერი/ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შეუწყნარებლობა - 5140 ბრალდებული, სექსუალური ორიენტაცია - 76 ბრალდებული, გენდერული იდენტობა - 71 ბრალდებული, რასა - 59 ბრალდებული, რელიგია - 18 ბრალდებული, შეზღუდული შესაძლებლობა - 42 ბრალდებული, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება - 18 ბრალდებული, სხვა შეხედულება - 10 ბრალდებული, ასაკი - 15 ბრალდებული, სქესი - 3 ბრალდებული, სოციალური კუთვნილება - 2 ბრალდებული, დისკრიმინაციის სხვა ნიშანი - 21 ბრალდებული, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა - 32 ბრალდებული, ინტერსექციული დისკრიმინაცია (გენდერი/რასა, გენდერი/სექსუალური ორიენტაცია, გენდერი/რელიგია და სხვა) - 36 ბრალდებული.

2020-2025 წლებში საქართველოს პროკურატურამ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა 5702 პირს.

2025 წელს სპეციალიზებული პროკურორების მიერ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში, აქტიურად ხდებოდა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის, ხოლო, საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების შემდეგ - ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთა.

2020-2025 წლებში გენდერის (მათ შორის, ინტერსექციული დისკრიმინაცია) ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით 5168 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, მათ შორის: გენდერი – 5140 ბრალდებული, გენდერი და სექსუალური ორიენტაცია- 3 ბრალდებული, გენდერი და გენდერული იდენტობა- 1 ბრალდებული, გენდერი და რელიგია- 4 ბრალდებული, გენდერი და რასა- 9 ბრალდებული, გენდერი და შეზღუდული შესაძლებლობა- 7 ბრალდებული, გენდერი და სოციალური კუთვნილება- 1 ბრალდებული, გენდერი და ასაკი- 3 ბრალდებული.

2020-2025 წლებში გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით (ინტერსექციული დისკრიმინაციის ჩათვლით) ჩადენილ დანაშაულებზე დაზარალებულად ცნობილია 5272 პირი.

2025 წელს მონიტორინგის საფუძველზე მომზადდა 2024 წლის სისხლის სამართლის საქმეთა

ანალიზი, ქალთა მიმართ დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი ასპექტების, არსებული ტენდენციებისა და გამოწვევების შესახებ.[12]

ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის ექსპერტთა ჯგუფის (GREVIO) ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა მონიტორინგი გაუწია 2023-2024 წლებში ციფრულ სივრცესა და ტექნოლოგიების მეშვეობით ჩადენილ დანაშაულებს. მონიტორინგს დაექვემდებარა შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები, ასევე, სსკ-ის 151[1], 157, 157[1], 158, 159, 255-2552 მუხლებით ციფრულ სივრცეში ან კომპიუტერული ტექნოლოგიის ან მოწყობილობის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულები. მონიტორინგის შედეგების მიხედვით მზარდია ამ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. კერძოდ, 2023 წელს ბრალდებულის სტატუსი მიენიჭა 180 პირს, ხოლო 2024 წელს დევნა დაიწყო 280 პირის მიმართ. ბრალდებულთა უმრავლესობა (438 პირი) მამაკაცია. ბრალდებულთაგან მხოლოდ 6 იყო არასრულწლოვანი. მომატებულია დაზარალებულად ცნობის მაჩვენებელიც, რომელმაც 2023 წელს 186 პირი შეადგინა, ხოლო 2024 წელს-315. დაზარალებულ პირთა უმრავლესობა (458 პირი) ქალია, მათგან 46- არასრულწლოვანი.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, პროკურატურის მიერ დამუშავდა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის 2024 წლის სტატისტიკური მონაცემები, რაც გასაჯაროვდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე.[13]

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი ასპექტების, არსებული ტენდენციებისა და გამოწვევების შესასწავლად მომზადდა 2024 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, რაც ხელმისაწვდომია საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე.[14]

2025 წელს საქართველოს პროკურატურამ, ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისთან (ODIHR) თანამშრომლობის ფარგლებში, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საქართველოს 2024 წლის ერთიანი ანგარიში წარადგინა.[15]

ფემიციდის საქმეთა მონიტორინგის ფარგლებში, გამოიკვეთა 2014-2024 წლებში მიმდინარე გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობისას არსებული ტენდენციები და გაანალიზდა სასამართლოს გადაწყვეტილებები. ანალიზის შედეგები გამოქვეყნდა საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე.[16]

საქართველოს პროკურატურაში დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემოს ხელშეწყობის, ქალისა და მამაკაცის თანაბარი შესაძლებლობების გაძლიერებისა და გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად, პროკურატურის 2022–2027 წლების გენდერული თანას-

12 https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/php9dIFOc.pdf; https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/184184Fgf.pdf;

13 https://www.geostat.ge/media/68742/diskriminacia;_2024.pdf https://www.geostat.ge/media/68743/Hate_2024.pdf;

14 https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/php3k8Yyi.pdf; https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/784444Dgfss.pdf;

15 https://hatecrime.osce.org/georgia;

16 https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpA5yfqa.pdf; https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpjDw3JN.pdf;

წორობის სტრატეგიის შესაბამისად, შემუშავდა და გასაჯაროვდა საქართველოს პროკურატურის ქალისა და მამაკაცის თანასწორობის 2025–2027 წლების სამოქმედო გეგმა[17] და გენდერული თანასწორობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით საქართველოს პროკურატურა წლებია, აქტიურად მონაწილეობს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან გლობალურ კამპანიაში. 2025 წლის ნოემბერში საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით ჩატარდა 36 ღონისძიება, რომლის ფარგლებში პროკურატურის წარმომადგენლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეხვდნენ მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სტუდენტებს, საჯარო მოხელეებს, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს.

საქართველოს პროკურატურასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის შედეგად, 2025 წელს გამოიცა საპროკურორო საქმიანობისა და დანაშაულის პრევენციის სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის სპეციალური ნომერი - „ქალების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა“. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი მოიცავს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე სპეციალიზებული ათზე მეტი პროკურორის სამეცნიერო ნაშრომებს. პუბლიკაციაში განხილულია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციული მექანიზმები, ქალთა მკვლელობის გენდერული ბუნება და კრიმინოლოგიური ასპექტები, შეუწყნარებლობით მოტივირებულ ოჯახურ დანაშაულებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის გამოყენების პრაქტიკა, სექსუალური შევიწროების სამართლებრივი შეფასება, ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის მიზანია პროფესიული პლატფორმის შექმნა, რომლის ფარგლებში პრაქტიკოსი პროკურორები გააანალიზებენ სისხლის სამართლის აქტუალურ საკითხებს, შეისწავლიან კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებს და იმსჯელებენ აღნიშნული პრობლემების გადაჭრის ეფექტიან მექანიზმებზე.

2025 წელს პროკურორებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო დონეზე მიმდინარე სამუშაო შეხვედრებში, კონფერენციებში და სასწავლო აქტივობებში. კერძოდ:

17 https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/php5ApvXc.pdf; https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpC4cr1W.pdf.

- ევროპის საბჭოს ორგანიზებით, საფრანგეთის რესპუბლიკის ქალაქ სტრასბურგში, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებისა და სიძულვილის ენის კვირეულის ფარგლებში, გამართულ კონფერენციაში, რომლის მიზანს წარმოადგენდა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება დაზარალებულთა მხარდაჭერის მექანიზმების, პრევენციული მიდგომების განვითარებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის გაძლიერების მიმართულებით;
- ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) ორგანიზებით, პოლონეთის რესპუბლიკის ქ. ვარშავაში, პროკურორებისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სწავლების პროგრამის (PAHCT) ფარგლებში გამართულ საერთაშორისო ტრენერთა მომზადების (ToT) სასწავლო კურსში, რომლის მონაწილეებს მიენიჭა PAHCT-ის საერთაშორისო ტრენერის სტატუსი;
- პოლონეთის რესპუბლიკაში, ქ. ვარშავაში, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების საკითხებზე ყოველწლიურ სამუშაო შეხვედრაში, რომლის ფარგლებში გაზიარდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და ყურადღება გამახვილდა ძირითად გამოწვევებზე, ხოლო საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელმა წარადგინა ანგარიში შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

POG.GOV.GE

9.17 დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების წინააღმდეგ

ქვეყნის ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი რესურსები ჩვენი მოქალაქეების სიმდიდრე და საერთო პასუხისმგებლობაა, რომელსაც დაცვა და ხელშეწყობა სჭირდება. მზარდი ინდუსტრიალიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების პირობებში სულ უფრო მოწყვლადი ხდება გარემოს უსაფრთხოება. შესაბამისად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული საქართველოს პროკურატურის სტრატეგიით განსაზღვრული საყურადღებო მიმართულებაა.

გატარებულმა სისხლის სამართლის სწორმა პოლიტიკამ დადებითი გავლენა მოახდინა დანაშაულის გამოვლენის და გახსნის მაჩვენებელზე. ბოლო 5 წლის მონაცემებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ 2025 წელს, წინა წლებთან შედარებით, უპრეცედენტოდ მაღალია დევნის დაწყების მაჩვენებელი.

ამ დანაშაულზე რეაგირების მოქნილი მიდგომები და სწრაფი სამართალწარმოების არსებობა უკიდურესად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური მდგრადობისთვის.

მიუხედავად ამ დანაშაულის ცალკეული სახეების გავრცელებისა, პროკურატურა ინარჩუნებდა თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მინიმალიზების პოლიტიკას, ორიენტირებული იყო განრიდებისა და საპროცესო შეთანხმებების დროს არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებაზე.

აღნიშნულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა 2020-2025 წლებში შემდეგნაირია:

2020-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის 287-306[3] მუხლებზე



2020-2025 წლებში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებიდან ყველაზე გავრცელებულია: სსკ-ის 287[1] მუხლი (სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნის დარღვევა), 299-ე მუხლი (წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე), მე-300 მუხლი (უკანონო თევზჭერა), 301-ე მუხლი (უკანონო ნადირობა), 303-ე მუხლი (ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა).

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების წინააღმდეგ ჩადენილ ცალკეულ დანაშაულებზე პროკურატურა აქტიურად იყენებდა განრიდებას, რაც საშუალებას აძლევს ბრალდებულს აღიარების, ქმედითი მონანიებისა და ზიანის ანაზღაურების პირობებში, ნასამართლობის გარეშე გააგრძელოს ცხოვრება. 2025 წელს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე განრიდებულია 90 პირი.

ამ დანაშაულის წინააღმდეგ შედეგიანი ბრძოლა წარმოუდგენელია აქტიური საპრევენციო ღონისძიებების გარეშე, დაინტერესებულ პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგებზე, რის გამო საქართველოს პროკურატურა, სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, ყოველწლიურად ასაჯაროებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკურ მონაცემებს.[18]

POG.GOV.GE

[18] https://pog.gov.ge/index.php?m=715

9.18 განზრახ მკვლელობა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

„ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არ შეიძლება სიცოცხლის განზრახ ხელყოფა, თუ არა სიკვდილის სასჯელის აღსრულების შედეგად, რომელიც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა მოცემულ პირს ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს“ (მუხლი 2, სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი).[19]

სიცოცხლის, როგორც ხელშეუვალი უფლების დაცვა სახელმწიფოს პრიორიტეტული საზრუნავია, მისი ხელყოფის შემთხვევაში კი დანაშაულის გამოვლენა და მართლმსაჯულების დროული აღსრულება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. განზრახ მკვლელობის გახსნის მაჩვენებელი მაღალია, რაც საპროკურორო, საგამოძიებო და ოპერატიული სამსახურების თანამშრომლობის და საპროცესო-ოპერატიული მეთოდების სწორი და დროული გამოყენების შედეგია.

2025 წელს პროკურატურა განზრახ მკვლელობაზე ინარჩუნებდა მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას და უმეტესად, თუ სახეზე არ იყო განსაკუთრებული თანამშრომლობის შემთხვევები, საქმის წარმოება სასამართლოში არსებითი განხილვით სრულდებოდა.

სახელმწიფოს მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა თვალსაჩინოა სასამართლოს პრაქტიკიდანაც. სსკ-ის 108-ე (განზრახ მკვლელობა) და 109-ე მუხლებზე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი, წინა 5 წლის ანალოგიურად, კვლავ 100%-ს შეადგენს.

განზრახ მკვლელობაზე და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა 2020-2025 წლებში შემდეგნაირია:[20]

19 https://matsne.gov.ge/document/view/1208370?publication=0

20 სტატისტიკური მონაცემი მოიცავს დასრულებულ დანაშაულს

2020-2025 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის 108-ე და 109-ე მუხლებზე



2025 წელს მონიტორინგს დაექვემდებარა განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარე 62 სისხლის სამართლის საქმე, რომლის საფუძველზე მომზადდა რეკომენდაცია სსკ-ის 108-ე და 109-ე მუხლებით ჩადენილი დანაშაულების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

განზრახ მკვლელობის ცალკეული საქმეები, სხვა დანაშაულებთან ერთად, განიხილა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომაც.

2025 წელს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა 8 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის, სსკ-ის 108-ე ან/და 109-ე მუხლებით 5 სისხლის სამართლის საქმე და გამოიტანეს გამამტყუნებელი ვერდიქტები, ისევე როგორც სსკ-ის 117-ე მუხლით განხილულ 2 სისხლის სამართლის საქმეზე. მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე, სსკ-ის 144-ე მუხლით განსახილველ 1 საქმეზე კი – გამოტანილია გამამართლებელი ვერდიქტი.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტი 2020-2025 წლებში



ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტების მუხლობრივი მაჩვენებელი 2020-2025 წლებში



ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედებიდან დღემდე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების, ნაფიც მსაჯულთა ქვემდებარე დანაშაულებზე საპროცესო ხელმძღვანელობისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის გასაუმჯობესებლად, საქართველოს პროკურატურაში ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ საზოგადოების სკეპტიკური დამოკიდებულების შესაცვლელად, პროკურატურა ყოველწლიურად ატარებს მოქალაქეებთან, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან შეხვედრებს.

POG.GOV.GE

10



საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ანალიტიკური საქმიანობა

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

10. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ანალიტიკური საქმიანობა

სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკის განსასაზღვრად და საქმიანობის ხარისხის გასაუმ-ჯობესებლად მნიშვნელოვანია ცალკეული დანაშაულის ანალიზი, საჭირო სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება და სხვადასხვა იერარქიულ რგოლში გადაწყვეტილების დამოუკიდებლად და დროულად მიღების წახალისება.

2025 წელს, საქმიანობის ხარისხის ამაღლებისა და მოტივაციის ზრდის მიზნით, შეფასდა 408 პროკურორის და გამომძიებლის საქმიანობა. შედეგად რანგში დაწინაურდა 41 თანამშრომელი. აღსანიშნავია, რომ კომპეტენციის განმსაზღვრელი მაღალი რანგის შესაბამისი პროკურორების და გამომძიებლების რაოდენობა დღეის მდგომარეობით აღემატება 250-ს.

კვლევებზე და ანალიზზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკისა და საპროცესო ხელმძღვანელობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, 2025 წელს შემუშავდა და განახლდა 40-ზე მეტი სახელმძღვანელო მითითება.

2025 წელს შესწავლილია საპროკურორო პრაქტიკისთვის აქტუალური საკითხები და სამსახურებრივი გამოყენების მიზნით მომზადდა ანალიზები: საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განმარტებები, გამამართლებელი განაჩენების ანალიზი, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე დევნადაწყებული საქმეებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი, განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი განმეორებითი დანაშაულის ანალიზი, სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე გამოძიების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი, თვითნებობის, თაღლითობის, სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევასთან და სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დანაშაულების ანალიზები, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული ხარვეზების აღმოფხვრასა და საპროცესო ხელმძღვანელობის ხარისხის გაუმჯობესებას.

ანგარიშის ცალკეულ თავებში მითითებული კვლევებისა და ანალიზების გარდა, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის ფარგლებში, 2025 წელს შესწავლილია შემაჯამებელი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებოდა ხანდაზმულობის გასვლის ან ამნისტიის გამო გამოძიების შეწყვეტას, ცალკეულ ეკონომიკურ დანაშაულებზე (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა) საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ხარისხს, ნივთმტკიცებად

ცნობილი სატრანსპორტო საშუალებების განკარგვის, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირების და კომისიური ექსპერტიზების დანიშვნის პრაქტიკას.

ციფრული სისტემების განვითარების კვალდაკვალ, ახალი ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარების მიზნით, ელექტრონულ მონაცემთა მრავალმხრივი დამუშავებისა და პროკურორთა საქმიანობის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, 2025 წელს გაგრძელდა სტატისტიკის სააღრიცხო სისტემის არსებული ფუნქციონალის გაუმჯობესება და ახალი მოდულების დანერგვა. შედეგად, სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამას დაემატა თვლადი პარამეტრები, გაფართოვდა მონაცემთა ანალიზის ფუნქციონალი და გაუმჯობესდა ინფორმაციის სიზუსტისა და ხელმისაწვდომობის ხარისხი.

POG.GOV.GE

11

ადამიანური რესურსების მართვა და დისციპლინური პასუხისმგებლობა

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

11. ადამიანური რესურსების მართვა და დისციპლინური პასუხისმგებლობა

კვალიფიციური კადრების მოზიდვა და შენარჩუნება, შრომით ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

2025 წელს მაღალი იყო ახალი კადრებით პროკურატურის სისტემის შევსების მაჩვენებელი - სისტემას დაემატა 178 თანამშრომელი (მათ შორის, 47 ყოფილი სტაჟიორი):

2025 წელს საქართველოს პროკურატურაში დანიშნულ თანამშრომელთა რაოდენობა



სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილების პროკურატურისთვის გადმოცემასთან დაკავშირებული რეფორმის ფარგლებში, პროკურატურის სისტემაში დასაქმდა ამ სამსახურის 83 ყოფილი თანამშრომელი, რამაც პროკურატურას მისცა შესაძლებლობა მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსით დაეკმაყოფილებინა საკადრო ოპტიმიზაციის საჭიროება.

პროკურატურამ 2025 წელსაც გააგრძელა სტაჟირებისა და ღია კონკურსების გზით თანამშრომელთა მიღების ხელშეწყობა: 47 სტაჟიორი დაინიშნა პროკურორისა და გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე, 18 ღია კონკურსი ჩატარდა პროფესიული საჯარო მოხელის შესარჩევად. პროკურატურაში ახალი თაობის დასაქმების ინტერესის გასაზრდელად, 52 სტუდენტს მიეცა პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურულ დანაყოფში პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა.

საკადრო ოპტიმიზაციისა და ახალი რესურსის მოზიდვის ხარჯზე 2025 წლის ბოლოსთვის პროკურატურის სისტემა დაკომპლექტებული იყო 920 პროფესიონალით.



თანამშრომელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში



კარიერის დაგეგმვის, მართვისა და წახალისების პროცესის ობიექტურობა, დაწინაურების და დისციპლინურ გადაცდომაზე რეაგირების სამართლიანი სისტემა, ძლიერი სოციალური და სამართლებრივი გარანტიების არსებობა, სისტემაში საკადრო რესურსის სტაბილურობის ხელშემწყობი საშუალებებია.

ამ მიზნით, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, 2025 წელს 324 თანამშრომელი წახალისდა. რანგირების საბჭოს რეკომენდაციით, საქმიანობის მაღალი და უმაღლესი შეფასებების საფუძველზე, 56 თანამშრომელი დაწინაურდა რანგში და წლის ბოლოსთვის პირველი და მეორე რანგის მქონე პროკურორების და გამომძიებლების საერთო რაოდენობა 219-ით განისაზღვრა. უცვლელად დარჩათ ან/და შეეცვალათ მინიჭებული რანგი 86 პროკურორს და 22 გამომძიებელს.

ახალი კადრების დამატებისა და როტაციული ცვლილებების გარეშე შეუძლებელია საკადრო რესურსის გადახალისება და თანამშრომლის წახალისება. ამ მიზნით, 2025 წელს საკადრო გადაადგილება შეეხო 306 თანამშრომელს, მათ შორის, 188 პროკურორს, 36 გამომძიებელს და 27 მოხელეს. როტაციული ცვლილებების შედეგად 101 თანამშრომელი დაწინაურდა, მათ შორის, 50 ხელმძღვანელ თანამდებობებზე. სტაჟირების გზით 47 ახალი კადრის მოზიდვის ხარჯზე, მნიშვნელოვნად გადახალისდა რაიონული პროკურატურების შემადგენლობები, ხოლო თანამშრომელთა ნაწილი რაიონული რგოლიდან დაწინაურდა საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოებსა და გენერალური პროკურატურის დეპარტამენტებში.

შრომის შესაბამისი ღირსეული ანაზღაურება ყველა დემოკრატიული სისტემის მთავარი საზრუნავია და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მართლმსაჯულების სისტემაში, რომელიც გამოირჩევა საქმიანობის სირთულით, საზოგადოების მომეტებული ყურადღებით და შესაბამისად, შრომის და პასუხისმგებლობის ტვირთით. თანამშრომელთა გადინების შესამცირებლად და ახალი კადრების მოსაზიდად 2025 წელსაც პროკურორის, გამომძიებლის და პროფესიული საჯარო მოხელის შრომის ანაზღაურება 10-15%-ით გაიზარდა, მატება შეეხო წელთა ნამსახურობის დანამატსაც.

დაკისრებული მოვალეობის ხასიათისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დისციპლინურ გადაცდომაზე რეაგირების ისეთი სისტემის არსებობა, სადაც გადაწყვეტილება მიიღება კოლეგიური ორგანოს ჩართულობით, რაც თანამშრომელს შესაძლებლობას აძლევს მეტად დაცულად იგრძნოს თავი.

2025 წელს დისციპლინური გადაცდომის 11 ფაქტზე ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება. გადაცდომა არ დაუდასტურდა 3 თანამშრომელს, კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს რეკომენდაციით 1 - დათხოვნილია, 2-ის მიმართ სახდელის სახით გამოყენებულია საყვედური, ხოლო 1-ის მიმართ გაცემულია რეკომენდაცია.

საქართველოს პროკურატურა ცდილობს ხელი შეუწყოს ჯანსაღი ცხოვრების წესს, წაახალისოს თანამშრომელთა შორის სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრების კულტურა, მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო ღონისძიებებში.

ჯანსაღი ცხოვრების წესის წასახალისებლად 2025 წელს, პროკურატურის ორგანიზებით, თანამშრომელთა შორის ჩატარდა შიდასტრუქტურული ჩემპიონატები ფეხბურთში, კალათბურთსა და გიგანტურ სლალომში, რომელშიც მონაწილეობდა 176 თანამშრომელი. ინტელექტუალურ რინგზე ძალები მოსინჯა 114-მა თანამშრომელმა.

01:00:00

12

პროფესიული განვითარება

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

12. პროფესიული განვითარება

პროკურატურის თანამშრომელთა განგრძობადი განათლება ხელს უწყობს საპროცესო ხელმძღვანელობის ხარისხის, დამოუკიდებლობისა და პროფესიონალიზმის ზრდას.

2025 წელს პროკურატურის ორგანიზებითა და ხელშეწყობით 105 სასწავლო აქტივობაში ჩაერთო 1146 მონაწილე, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო:

სპეციალიზაციის საჭიროების მქონე სტრატეგიულ მიმართულებებს: ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გამოძიების თავისებურებები, ფსიქოლოგიური ასპექტები და საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო; ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების ევროპული მექანიზმები; ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების წინააღმდეგ ბრძოლის მიდგომები; ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა და ექსპლუატაცია; შშმ ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია და რეაგირება; ონლაინ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის (OCSEA) გამოძიების სპეციფიკა ლანზაროტისა და ბუდაპეშტის კონვენციებით; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (მათ შორის, ფსიქოლოგიური ასპექტები), ბავშვების უფლებების დაცვა ევროპის საბჭოს გაიდლაინების მიხედვით.

ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდას: უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ქონების კონფისკაცია და ქონებრივი ზიანის ანაზღაურება; თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და ევროკავშირის ფინანსური ინსტრუმენტების მართვა; მიწისქვეშა საბანკო სისტემების ანალიზი; კორუფციის (მათ შორის, ტრანსნაციონალური) წინააღმდეგ ბრძოლა, საერთაშორისო თანამშრომლობა და ამ კატეგორიის დანაშაულის მტკიცებულებების მოპოვება; საპოლიციო სისტემაში არსებული კორუფციის გამოძიების თავისებურებები; სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების, საპროცესო ხელმძღვანელობის და ამ დანაშაულების მსხვერპლებთან მოპყრობის თავისებურებები; შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების და საპროცესო ხელმძღვანელობის თავისებურებები; შეზღუდული შესაძლებლობის გაგების კონცეპტუალური მოდელები/გამოწვევები და სახელმწიფოს ვალდებულებები; შშმ პირებთან ეფექტიანი კომუნიკაციის სტანდარტები; თანამედროვე მონობისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა და საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმები; კულტურული ფასეულობებითა და ანტიკვარიატით უკანონო ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა.

მტკიცებულებათა მოპოვების ახალი მეთოდების დანერგვას: კიბერდანაშაულთან ბრძოლა – OSINT საგამოძიებო ტექნიკები; კრიპტო-ტრანზაქციების გაშიფვრა ბლოკჩეინის ანალიტიკური

ინსტრუმენტების გამოყენებით; ციფრულ მტკიცებულებებთან მოპყრობის წესები, კიბერდანაშაულის გამოძიების საერთაშორისო პრაქტიკა, კრიპტოვალუტის ჩამორთმევა, მართვა და რეალიზაცია; გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვით ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვებისა და გამოყენების საკითხები.

საპროკურორო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაზე და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლებას: სამართლებრივი წერის მეთოდოლოგია და საპროცესო დოკუმენტების მომზადება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სასამართლო პრეცედენტების პრაქტიკაში გამოყენების საკითხები; სამართლებრივი კომუნიკაცია და საჯარო გამოსვლის ხელოვნება; ქცევითი მეცნიერებისა და კოგნიტური მიკერძოებების გავლენა სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; დამარწმუნებელი საქმის სტრატეგიის შემუშავება და თხრობის (storytelling) ტექნიკები; მოწმეთა და დაზარალებულთა იურიდიული და ფსიქო-ემოციური მხარდაჭერა; საოფისე ტექნოლოგიების და ციფრული კომპეტენციების გაძლიერება (Excel, Power Point); პერსონალურ მონაცემთა დაცვა და საპროტოკოლო ეთიკა; ეთიკისა და ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებზე ორიენტირებული სასწავლო ღონისძიებები.

მონაცემები თემატური სასწავლო ღონისძიებებისა და მონაწილეთა შესახებ



საქართველო ევროპის საბჭოს HELP-ის პლატფორმის წარმატებული ქვეყნების სიაშია. პროკურატურისა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში 2025 წელს 80 თანამშრომელი გადამზადდა 4 სასწავლო კურსის ფარგლებში. კერძოდ, „გენდერული თანასწორობა და გენდერული მეინსტრიმინგი“, „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის უნარ-ჩვევები“, „ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან დაკავშირებული საკითხები“ და „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა“.

2025 წელს პროკურატურის თანამშრომლებმა საზღვარგარეთ მონაწილეობა მიიღეს 11 სასწავლო ვიზიტში.

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

13

კოლეგიური ორგანოები

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

13. კოლეგიური ორგანოები

პროკურატურის სისტემაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას წევრთა სიმრავლეზე დაფუძნებული კოლეგიური ორგანოების რეკომენდაციების გათვალისწინების პოზიტიური პრაქტიკა არსებობს.

2025 წელსაც გენერალური პროკურორი გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობოდა კოლეგიური ორგანოების რეკომენდაციებს, რაც ყველა რგოლის კოორდინირებულ, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ მართვას გულისხმობს.

საბჭოების ფორმატი მეტად პრაქტიკულად გამოიყენებოდა სისტემის გაჯანსაღებისთვის აუცილებელი რეფორმების, უწყების სტრატეგიული ხედვის, ერთგვაროვანი პრაქტიკის შემუშავების, დისციპლინურ გადაცდომებზე რეაგირებისა და წახალისების საკითხების გადასაწყვეტად. წლის განმავლობაში რეკომენდაციები შეიმუშავა ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე თემატურმა საბჭომაც. კერძოდ:

2025 წელს ჩატარდა კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს და რანგირების საბჭოს 7 სხდომა, რომელმაც განიხილა 312 თანამშრომლის წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის საკითხი, ჩაატარა სტაჟიორებთან გასაუბრება და შეაფასა მათი საქმიანობა, რამაც 47 პირს საშუალება მისცა დაეწყო კარიერა პროკურატურის სისტემაში პროკურორისა და გამომძიებლის პოზიციაზე, რანგში დაწინაურების რეკომენდაცია მისცა 56 პროკურორსა და გამომძიებელს.

სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე გამოძიების ხარისხის გაუმჯობესების, დაზარალებულთა საჩივრების დაჩქარებულად განხილვისა და საპროცესო ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, დაზარალებულთა საჩივრების განმხილველმა საბჭომ 2025 წელს შეისწავლა 7 საქმე და გასცა 15 რეკომენდაცია. საბჭოს წევრები იყენებდნენ დაზარალებულთან უშუალო კომუნიკაციის შესაძლებლობებს და ითვალისწინებდნენ მათ პოზიციას რეკომენდაციის შემუშავებისას. საბჭოს შექმნიდან 3 წლის განმავლობაში, 44 სისხლის სამართლის საქმეზე გაიცა 72 რეკომენდაცია, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობდა მონიტორინგი, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, მათ შორის, გამოიკითხნენ მოწმეები, ჩატარდა ექსპერტიზები, სამართლებრივი დახმარების, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და სხვა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მოპოვებულია დამატებითი მტკიცებულებები.


საბჭოში განსახილველი სისხლის სამართლის საქმეების კვალიფიკაცია
გაიგზავნა რეკომენდაცია, მიმდინარეობს მონიტორინგი
დასრულდა
არ გადაეცა საბჭოს განსახილველად
შესწავლის პროცესშია
მუხლი 115
14
2
3
მუხლი 108 და 109
8
2
მუხლი 116
5
1
მუხლი 342
1
მუხლი 276
1
მუხლი 117
1
1
მუხლი 19-109
1
1
1
მუხლი 240
1
მუხლი 126
1

POG.GOV.GE

14



საჯაროობა და ანგარიშვალდებულება

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

14.1 ანგარიშვალდებულება და საზოგადოებასთან კომუნიკაცია

საქართველოს პროკურატურისათვის საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე მოქალაქეს უნდა ჰქონდეს პროკურატურასთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის მიღების მარტივი და დროული შესაძლებლობა.

მეტი გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების მიზნით, 2025 წელს პროაქტიულად ვრცელდებოდა ინფორმაცია, როგორც ზოგადი სტატისტიკისა და მიმდინარე ტენდენციების, ასევე, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ცალკეული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ.

პროკურატურის საქმიანობაზე და აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების გამარტივების მიზნით, 2025 წელს დაიწყო ოფიციალური გვერდების რედაქტირება. მოქალაქისთვის გასაგებ ენაზე განთავსდა საბაზისო ინფორმაცია სისხლის სამართლის წარმოებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ბავშვის უფლებები მართლმსაჯულების პროცესში, დაზარალებულის უფლებები და პროკურატურასთან ურთიერთობის სამართლებრივი მოლოდინები, სწრაფი მართლმსაჯულება, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, სავალდებულო დაცვა, ნაადრევი ქორწინება.[1]

პროკურატურა პროაქტიულ რეჟიმში თანამშრომლობდა მედიასაშუალებებთან და აგრძელებდა საზოგადოების ინფორმირებას, ვებგვერდისა და სოციალური პლატფორმების მეშვეობით. კერძოდ, 2025 წელს გავრცელდა 642 პრესრელიზი, 119 ვიდეოკომენტარი, 45 ვიდეომასალა, 2 კლიპი და ჩატარდა 22 ბრიფინგი.

ვებგვერდსა და სოციალურ პლატფორმაზე განხორციელებული აქტივობები



1 https://pog.gov.ge/gzamkvlevi

საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულების შესასრულებლად, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს წარედგინა პროკურატურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.[2]

POG.GOV.GE

2 https://pog.gov.ge/Reports-submitted-to-the-Parliament-of-Georgia

14.2 საზოგადოებრივი პროკურატურა

მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე მოქალაქესთან უშუალო კომუნიკაცია ხელს უწყობს საზოგადოებასა და პროკურატურას შორის ნდობის გამყარებასა და დანაშაულის პრევენციას.

საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტი უზრუნველყოფს მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციაში პროკურორის ჩართულობას, პრევენციულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას, დანაშაულის გეოგრაფიული განფენილობისა და გავრცელების შესაბამისად მის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგიანობის ზრდას.

პროექტის ფარგლებში, 2025 წელს ჩატარდა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების, საგანმანათლებლო-ინტელექტუალური, კულტურული და საქველმოქმედო თემატიკის 17 ღონისძიება. ძირითადი სამიზნე ჯგუფები არასრულწლოვნები და ახალგაზრდები იყვნენ, მათ შორის, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები. 1000-მდე მოსწავლეს მიეცა შესაძლებლობა პროკურატურის თანამშრომლებისგან მიეღო ინფორმაცია პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, სამართალწარმოების პროცესში ჩართულ პირთა უფლება-მოვალეობების, მომეტებული საფრთხეებისა და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ.

POG.GOV.GE

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

14.3 საჯარო ინფორმაციის გაცემა

გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კომპონენტის უზრუნველსაყოფად 2025 წელს საქართველოს პროკურატურამ საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 363 განცხადება განიხილა, რომლის 84% დაკმაყოფილდა. არდაკმაყოფილებული 37 განცხადებიდან, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონების მოთხოვნებიდან გამომდინარე, უარის თქმის მიზეზებია: პროკურატურის კომპეტენციის მიღმა არსებული საკითხები (8 მოთხოვნა), მესამე პირის შესახებ პერსონალური ინფორმაციის გაცემის დაუშვებელი მოთხოვნა (10 მოთხოვნა), ინფორმაცია არ წარმოადგენდა საქართველოს პროკურატურაში დაცულ, დამუშავებულ, შექმნილ ან/და გაგზავნილ ინფორმაციას (14 მოთხოვნა), მოთხოვნა უკავშირდებოდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებას და სისხლისსამართლებრივ დევნას (5 მოთხოვნა).

ვინაიდან დაინტერესებული პირის მოთხოვნა სცილდებოდა უწყების კომპეტენციას/არ წარმოებდა აღრიცხვა ან ნაწილობრივ უკავშირდებოდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებას და სისხლისსამართლებრივ დევნას, ასევე, პირის პერსონალური მონაცემების გასაჯაროებას, 27 მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, დაინტერესებულ პირს მიეწოდა საქართველოს პროკურატურაში დაცული ინფორმაცია და ასევე ის ინფორმაცია, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, მიჩნეულია საჯარო ინფორმაციად.

2025 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების განხილვის შედეგები



საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

15

პროკურატურის ბიუჯეტი, ინფრასტრუქტურული განვითარება და ლოჯისტიკა

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

15. პროკურატურის ბიუჯეტი, ინფრასტრუქტურული განვითარება და ლოჯისტიკა

საქართველოს პროკურატურის ბიუჯეტი მზარდია, რაც ხელს უწყობს ინსტიტუციურ მდგრადობას, განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ ტრანსფორმაციას და ღირსეულ შრომის ანაზღაურებას.

საქართველოს პროკურატურის დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტია.

2025 წლისთვის, საქართველოს პროკურატურისთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულმა ასიგნებამ შეადგინა 70 750 000 ლარი, საკასო შესრულებამ კი – 70 426 700 ლარი, შესაბამისად, საკასო შესრულების %-მა წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში შეადგინა 99,54%.

გასათვალისწინებელია, რომ წინა წელთან შედარებით, საქართველოს პროკურატურის ბიუჯეტის ზრდა უმეტესად განპირობებულია ზოგადად საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების ზრდის სახელმწიფო პოლიტიკით და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილების საქართველოს პროკურატურისთვის გადმოცემის გამო საშტატო რიცხოვნობის მატებით.

საქართველოს პროკურატურის ბიუჯეტის ზრდის მაჩვენებლები



ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები კლასიფიცირდება შემდეგნაირად:



2025 წელს საქართველოს პროკურატურისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში ჯამში გაფორმდა 287 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

2025 წელს უწყების მიერ გამოცხადდა 48 ელექტრონული ტენდერი, რომლის საფუძველზეც გაფორმდა 42 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, ხოლო ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომია 225 000 ლარამდეა.

სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ზრდის მაჩვენებლები შემდეგნაირია:



სამუშაო გარემოს გაუმჯობესება 2025 წელსაც ერთ-ერთ პრიორიტეტად დარჩა, რადგან ინფრასტრუქტურული და ლოჯისტიკური საჭიროებების იდენტიფიცირება და დროული უზრუნველყოფა ხელს უწყობს შრომითი კოეფიციენტის ზრდას.

2025 წელს ინფრასტრუქტურა განახლდა კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურებში, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, ახალციხისა და ზესტაფონის რაიონულ პროკურატურებში. პროკურატურას, როგორც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის სამართალმემკვიდრეს, გადმოეცა რუსთავში განთავსებული მშენებარე ინფრასტრუქტურა. მომზადდა საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობასთან 3100 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ახალი საპარკინგე სივრცის პროექტი, რომლის კეთილმოწყობა თანამედროვე საპროექტო მოთხოვნების შესაბამისად დასრულდება მიმდინარე წელს. სამსახურებრივი უფლებამოსილების შეუფერხებელი შესრულებისთვის, განახლდა ავტოპარკიც.

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს შენობა



აქტიურად მიმდინარეობდა თბილისის პროკურატურისა და თბილისის რაიონული პროკურატურების ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა. აქტიურ ფაზაშია საინჟინრო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები. 2026 წლიდან პროკურატურას დაემატება გამორჩეული არქიტექტურის მქონე კიდევ ერთი საიმიჯო შენობა.

თბილისის პროკურატურის და მასში შემავალი რაიონული პროკურატურების ახალი შენობის მაკეტი



მშენებლობის დროს აღმოჩენილი არტეფაქტების დამცავი ნაგებობის მაკეტი




პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობებში მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად გრძელდებოდა საოფისე კომპიუტერული ტექნიკით გადაიარაღება და ავეჯის განახლება. გამოძიების ხელშესაწყობად შესყიდულია ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების, კომპიუტერული და მობილური მოწყობილობებიდან ინფორმაციის ანალიზის, ამოღება-აღდგენის პროგრამის ლიცენზია და ელექტრონული ნივთმტკიცებების შესანახი მოცულობითი მოწყობილობები.

POG.GOV.GE

16

ციფრული ტრანსფორმაცია

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

16. ციფრული ტრანსფორმაცია

თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენებით პროკურატურის თანამშრომლისთვის საქმიანობის გამარტივება, ციფრული საშუალებების ხელმისაწვდომობის ზრდა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტია.

2025 წელს პროკურატურა აქტიურად იყენებდა საქმისწარმოების, დოკუმენტბრუნვისა და ადამიანური რესურსების აღრიცხვისა და მართვის ელექტრონულ სისტემებს, აუმჯობესებდა ანალიტიკურ მონაცემთა ელექტრონული დათვლის ახალ პროგრამულ შესაძლებლობებს.

ციფრული ტრანსფორმაციის შესაძლებლობის განსავითარებლად და საგამოძიებო პროცესებში გამოყენებული ციფრული მასალების უსაფრთხო, ცენტრალიზებული და სტრუქტურირებული შენახვის, მონაცემთა დაკარგვის რისკების შემცირებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების გასაუმჯობესებლად, შესყიდულია ნივთმტკიცებების დიდი მოცულობის მონაცემების შესანახი მოწყობილობები (NAS).

წარმატებით დასრულდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის რესურსების პროკურატურის, როგორც სამართალმემკვიდრის სისტემაში ინტეგრირება.

2025 წელს სრულად განახლდა პროკურატურის ოფიციალური ვებგვერდი- www.pog.gov.ge და განთავსდა ახალ ჰოსტინგ-ინფრასტრუქტურაზე, გაუმჯობესდა ვებგვერდის სტრუქტურა, ნავიგაცია და დიზაინი, ხოლო ახალ ჰოსტინგზე გადატანამ უზრუნველყო სისტემის სტაბილურობა, სწრაფი მუშაობა და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი. განახლდა სისტემის შიდასაკომუნიკაციო პორტალი, რომელზეც ხელმისაწვდომია სამსახურებრივი გამოყენებისათვის საჭირო სახელმძღვანელო მითითებები, ანალიტიკური მოდულები და ელექტრონული ბიბლიოთეკა. მოდულების მენეჯმენტმა და ფუნქციონალების დამატებამ გაუმჯობესა პორტალის სარგებლიანობა. საპროკურორო საბჭოს ახალი ვებ-გვერდისთვის შემუშავდა შესაბამისი ტექნიკური დავალებები და განახლებული ვებგვერდი ხელმისაწვდომი იქნება მიმდინარე წელს.


საქართველოს
პროკურატურა
ჩვენ შესახებ
სიახლეები
საჯარო ინფორმაცია
საინფორმაციო ინფორმაცია
პროექტები
კარიერა
GE
პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საუძველზე „რატის ბარში" მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ბრალდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა
თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და „რატის ბარში" მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ბრალდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. სასამართლო პროცესზე წარდგენილი
05 თებერვალი, 2026
სიახლეები
08 თებერვალი, 2026
პროკურატურამ პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვების, შენახვისა და გამოყენების, სექსუალური ხასიათის იძულებისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტებზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა
07 თებერვალი, 2026
პროკურატურამ მეუღლის მკვლელობის ფაქტზე დაკავებულს, ბრალდება წარუდგინა
18 იანვარი, 2026
პროკურატურამ ჯგუფურად ჩადენილი ფალსიფიკაციის, სხვისი სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონლისა და ყალბი აქციური მარკების გასაღების ფაქტზე სამ პირს ბრალდება წარუდგინა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA
საქართველოს პროკურ



უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობისთვის, გაგრძელდა შენობებში დაშვებისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემების განახლება, გაუმჯობესდა სისტემების უსაფრთხოება და ტექნიკური პარამეტრები.

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

17

2026 წლის პრიორიტეტები

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

17. 2026 წლის პრიორიტეტები

სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების წახალისება

წახალისებული იქნება საპროცესო შეთანხმების და დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების პრაქტიკა, მათ შორის, ფულად-საკრედიტო და საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულებზე.

ნარკორეალიზატორების მიმართ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაგრძელება

ნარკორეალიზატორების მიმართ არ იქნება გამოყენებული საპროცესო შეთანხმება და კანონით გათვალისწინებული სხვა შეღავათები.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის შენარჩუნება და დაზარალებულთა დაცვის მექანიზმების გაძლიერება

ამ დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ პროკურატურა გააგრძელებს მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას.

მსხვერპლთა ვიქტიმიზაციის რისკების შესამცირებლად, გაიზრდება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა.

დანაშაულის პრევენციის მიზნით, პროკურატურის ღია არხებით, სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის პირებისთვის, მათთვის გასაგებ ენაზე, განთავსდება ინფორმაცია ამ დანაშაულის მზარდი ხასიათის, საფრთხის წყაროების, დანაშაულის ჩადენის ხერხებისა და უფლების დაცვის მექანიზმების შესახებ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ხარისხის ზრდა

ჩატარდება მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი განმეორებითი დანაშაულის კვლევა.

შემუშავდება მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საპროცესო წარმომადგენლის ჩართვის შესახებ სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (SOP).

განახლდება განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებები, რომელშიც ბავშვზე მორგებული ენით აისახება ინფორმაცია სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის არსის და განრიდების ფარგლებში დაკისრებული ვალდებულებების შინაარსის შესახებ.

მომზადდება სახელმძღვანელო მითითება სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის სწორი და ერთგვაროვანი განმარტების მიზნით პროკურატურის ტერიტორიულ ერთეულებში გაიზრდება ბავშვზე მორგებული სივრცეების რაოდენობა.

ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება

ოჯახურ დანაშაულზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად ჩატარდება კვლევა, რომლის შედეგების საფუძველზეც გადაიხედება არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა.

თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება

თაღლითობის დანაშაულის საქმეების მონიტორინგის შედეგებისა და დანაშაულის გავრცელების მიხედვით, საჭიროების შესაბამისად, პროკურატურის რეგიონულ ერთეულებში შეიქმნება თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური დანაყოფები.

გადამზადდებიან თაღლითობის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი პროკურორები.

ტრანსნაციონალურ დონეზე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიების მექანიზმის დახვეწა

შეიქმნება დანაშაულებრივი ქონების მოძიების და დაბრუნების საკითხებზე მომუშავე სპეციალიზებული ჯგუფი, რაც გაუმჯობესებს მართლმსაჯულების ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს გამოძიებას ინტერნაციონალურ დონეზე.

მართლმსაჯულების პროცესში ჩართული პირების თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაუმჯობესების ხელშეწყობა

გააქტიურება სამუშაო შეხვედრები მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ პირთა შორის (მოსამართლე, ადვოკატი, პროკურორი, გამომძიებელი და დანაშაულის პრევენციაზე პასუხისმგებელი პირები), რაც ხელს შეუწყობს დანაშაულზე ეფექტურ რეაგირებას.

სასწავლო მიმართულების გაძლიერება

აქტიურად გაგრძელდება პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა გადამზადება ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: ფულის გათეთრების გამოვლენა, უკანონო/დაუსაბუთებელი ქონების მოძიება, მიდევნება და ამოღება.

კიბერდანაშაულის გამოძიებისთვის აუცილებელი მეთოდების და თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობების ათვისება. დაზარალებულთან კომუნიკაციის სტანდარტები. ასევე, ხელმძღვანელი პირები გადამზადდებიან მართვის თანამედროვე მიდგომებზე.

თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენებით თანამშრომლებისთვის საქმიანობის გამარტივება

გაუმჯობესდება საქმისწარმოების და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემები. განხორციელდება ანალიტიკური მონაცემების ელექტრონული დათვლის პროგრამული საშუალებების მოდერნიზაცია.

საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა

პროკურატურის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი გახდება ინფორმაცია პროკურატურის ფუნქციების და პროკურორის უფლებამოსილების ფარგლების, ქვემდებარეობის საკითხების, გამოძიების დაწყების საფუძვლების, სასჯელის შემსუბუქების საკანონმდებლო რეგულაციების, ყადაღის და მისი გამოყენების საფუძვლების შესახებ და სხვა.

ვებგვერდების და ოპერაციული სისტემების განახლება

განახლდება პროკურატურის და საპროკურორო საბჭოს ვებგვერდები (www.pog.gov.ge; www.pc.gov.ge). განახლდება ოპერაციული სისტემები და გადავა Windows 11-ზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობას, ორმაგი ავთენტიფიკაციის დანერგვას, სისტემების სტაბილურ მუშაობას და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესებულ ფუნქციონირებას.

მოხდება ვიზიტორთა აღრიცხვის ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესება და მოქალაქეთა მომსახურე ცხელი ხაზის (199) ჩართვა ერთიან საკომუნიკაციო პლატფორმაში.

ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება

დასრულდება თბილისის პროკურატურის და მასში შემავალი რაიონული პროკურატურებისთვის ახალი ოფისის მშენებლობა. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველო განთავსება ახალ შენობაში, გაუმჯობესდება შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის, ზესტაფონის, ბათუმის, გორის და მცხეთის რაიონული პროკურატურების ოფისების ინფრასტრუქტურა.

ახალი საკადრო რესურსის მოზიდვა

გაიზრდება პროკურატურის სისტემაში პრაქტიკის გავლის ხელმისაწვდომობა.

გამოცხადდება სტაჟირების კონკურსი.

საქართველოს პროკურატურა
THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

POG.GOV.GE

საქართველოს პროკურატურის 2025 წლის საქმიანობის ანგარიში

© საქართველოს პროკურატურა

ISBN 978-9941-34-913-3

დაიბეჭდა:
გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ., №84.
☎ 599 54 17 07
E-mail: meridiani777@gmail.com
www.meridiani-books.ge

9 789941 349133